

12

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОС. УНИВЕРСИТЕТА

ИМ. И. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE

UNIVERSITY

351

290 / 2
2003

ISSN 1512-1429

ენათმეცნიერება

ЯЗЫКОЗНАНИЕ

LINGUISTIC

15



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლინგვისტიკა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS



351

ЯЗЫКОЗНАНИЕ
LINGUISTIC

15

ДИРЕКТОР ДЕКЛАРАЦИИ 07870032789
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS



ТБИЛИСИ 2003 TBILISI



ენათმეცნიერება

15

რედკოლეგია:

ე. ბაბუნაშვილი (რედაქტორი), † კ. დანელია, † გ. რამიშვილი, ე. ოსიძე, ნ. საყვარელიძე, მ. ტუსკია (მდივანი), ვ. ფურცელაძე, ნ. ქადეიშვილი, მ. შანიძე, დ. გოცირიძე, † ა. ხიდეშელი (რედაქტორი)

РЕДКОЛЛЕГИЯ:

Е. Бабунашвили (редактор), † К. Дanelia, Н. Кадеишвили, Е. Осидзе, В. Пурцеладзе, † Г. Рамишвили, Н. Сакварелидзе, М. Туския (секретарь), М. Шанидзе, Д. Гоциридзе, † А. Хидешели (редактор)

EDITORIAL BOARD:

E. Babunashvili (editor), † K. Danelia, N. Kadeishvili, E. Osidze, V. Purtseladze, † G. Ramishvili, N. Sakvarelidze, M. Shanidze, M. Tuskia (secretary), D. Gotsiridze, † A. Khidesheli (editor).

3. იმნაიშვილი, თ.უთურბაიკი

უცხოელი გვლევარი ქართული ბუნების ბუნების შესახებ

ჩვენს სახელოვან თანამემამულეებს, მოგვიანებით ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიასა (1868–1953) და გამოჩენილ მეცნიერს, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილს (1872–1950), უჩვეულო ამპლუაში მოუხდათ გამოსვლა: მათი ევროპაში განსასწავლად ყოფნის დროს, XIX საუკუნის მიწურულს, ამ ახალგაზრდა ბატონებმა იმ დროის ცნობილ გერმანელ მეცნიერს, ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორს, ედუარდ ზივერსს დახმარება გაუწიეს ქართული ბგერების ბუნების კვლევის საქმეში და ერთგვარ ცდის პირებს წარმოადგენდნენ მკვლევრისთვის.

ნოე ჟორდანია 1893–97 წლებში საზღვარგარეთ იმყოფებოდა ცოდნის გასადრმაველად. 1896 წელს იგი ბერლინში ცხოვრობდა. 1896 წლის 3 მარტს არტურ ლაისტი ბათუმიდან სწერდა ჰუგო შუხართს, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორს, ვენის მეცნიერებათა აკადემიისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის აკადემიების უცხოელ წევრს, რომელიც ქართული ენითაც იყო გატაცებული და ორ ათეულამდე ნაშრომიც მიუბღენა მას: „ბერლინში ამჟამად სწავლობს ახალგაზრდა ქართველი ბატონი ნოე ჟორდანია. მისი ადრესია: Linienstrasse №100/II. მას, ალბათ, შეუძლია, დაგეხმაროთ ქართულ ენაში მეცადინეობისას. თუ



თქვენ ამას ისურვებდით, მაშინ ბატონი ნიკოლოზ ლოლობერიძე¹ დაავალებდა მას, სააღდგომო არდადეგების დროს მოენახულენინეთ გრაცში“. როგორც ჩანს, პუგო შუხართი, მართლაც, დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას და დახმარება სთხოვა. ჟორდანია დაუზარებლად აძლევდა წერილობით პასუხებს შუხართის შეკითხვებს და მალე მათ შორის მეტად თბილი დამოკიდებულება დამყარდა... თავის მხრივ, შუხართმა ჟორდანიას რეკომენდაცია გაუწია ლაიფციგელ პროფესორ ედუარდ ზივერსთან (1850–1932), რომელიც იმზანად ქართული ბგერებით იყო დაინტერესებული და მათს თავისებურებებს იკვლევდა. ზივერსი ფართო მასშტაბის ენათმეცნიერი იყო, მუშაობდა ზოგად ფონეტიკაში, ამას გარდა, იკვლევდა გერმანიკული ჯგუფის ენებს, მათს ისტორიას, წერილობითს ძეგლებს, აგრეთვე მეტყველების ფსიქოლოგიის, სტილისტიკის, ტექსტოლოგიის საკითხებს... იგი თავისი დროის თვალსაჩინო მკვლევრად ითვლებოდა. ქართული ბგერების შესწავლაში ზივერსს, ეტყობა, დახმარებას უწევდა ვილაც თბილისელი სომეხი, რომელიც, ჩანს, მის სიახლოვეს იმყოფებოდა. რაც უნდა კარგი მცოდნე ყოფილიყო ქართულისა, ეს პიროვნება მაინც სომეხი იყო მისთვის დამახასიათებელი აქცენტით, იგი, როგორც ცდისპირი, ზივერსს, ეტყობა, არ აკმაყოფილებდა. ბუნებრივია, გერმანელი პროფესორი თავისი მიზნებისათვის ნაღდ ქართველს ეძებდა. სწორედ ამ დროს შესთავაზა მას შუხართმა, ნოე ჟორდანიას შეხმთანებოდა, რომელიც, შუხართის ფიქრით, არ დაიზარებდა დახმარების გაწევას ლაიფციგელი პროფესორისათვის. მართლაც, ზივერსმა არ გაუშვა შესაძლებლობა ხელიდან და, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, 1886 წლის ზაფხულში ნოე ჟორდანია ზივერსს ლაიფციგში ეწვია. ამ შეხვედრით ზივერსი, ჩანს, მაინცდამაინც კმაყოფილი ვერ დარჩენილა, რაზეც მეტყველებს მისი ვრცელი,

¹ ნიკოლოზ ლოლობერიძე (1839–1911) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. სხვა ქართველ მეცენატებთან ერთად სტიპენდიებს უნიშნავდა სახლდვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტებს. ჩანს, უცხოეთში ნოე ჟორდანიას სწავლის დაფინანსებაშიც იღებდა ერთგვარ მონაწილეობას.

ერთგვარად საანგარიშო, წერილი შუხართისადმი. ვფიქრობთ, ხსენებული წერილი გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს და საჭიროდ მიგვაჩნია მისი გადომზეურება:

„ლაიფციგი, ტურნშტრასე 26
2 აგვისტო, 96

ძვირფასო ბატონო კოლეგავ!

შეხვედრამ ბატონ ჟორდანისთან დანიშნულ დროს პროგრამის შესაბამისად ჩაიარა; სამწუხაროდ, მთლად წარმატებით ვერა, რადგან იგი შეიძლებოდა უკეთეს პირობებში ჩატარებულიყო. მალე გამოირკვა, რომ ბატონი ჟორდანი იმ ტექსტებს, რომლებიც მას მივეცი, ტრანსკრიბირებას კი უკეთებდა, მაგრამ ისე კარგად ვერ კითხულობდა, რომ სიტყვათა შეხვედრისას მათს საზღვარზე მომხდარი ცვლილებანი გაჭირვებით მაინც გამერჩია.

მეორე მხრივ, ხელთ არა მქონდა ორიგინალური ტექსტები (გარდა ცალკეული სიტყვებისა კლასროთის ვოკაბულარიდან), რის შეთავაზებაც შემძლო მისთვის, რადგან ბატონ ჟორდანის ჩამოსვლის წინ ძალიან დაკავებული ვიყავი გამოცდებით და იმის დრო არ მქონდა, სანიმუშო წინადადებების გარკვეული რაოდენობა მომეშაადებინა, რათა, სანამ იგი ორიგინალს კითხულობდა, მე შემიძლებოდა ტრანსკრიბირებისთვის თვალი შედევენებინა. ტრანსკრიბირების გარეშე ორიგინალური ტექსტებით ვერ ვისარგებლებდით, რადგან მხედველობაზე დაყრდნობის გარეშე ენის უცოდინარი კაცისთვის გაძნელებული იქნებოდა [პროცესში] ჩაწვდომა.

ასე რომ, მე შემიძლია მხოლოდ ძველი რეზერვების მარაგით გაგაცნოთ რამდენიმე ცალკეული დაკვირვება ბგერების შესახებ. აქცენტის პრობლემის გადაჭრაც ვერ შევძელი: იზოლირებული სიტყვათფორმების წარმოთქმისას ჟორდანი, ჩვეულებრივ, ცვლიდა მახვილს მარცვლების შესაბამისად, რომელთა ბგერობრივად გახაზვაც სურდა (ჩემი არასწორი მიბაძვის კორექციის მიზნით).

მ. ფ. ქ ნაღდი ასპირატებია, კერძოდ, როგორც თქვენ გახაზავთ, განსაკუთრებული მახვილის გარეშე წარმოქმნილნი, თუმცა მათ მე რბილს ვერ დავარქმევდი: საამისოდ მათი ინტენსივობა, ჩემი შეფასებით, საწინააღმდეგოდ, ძლიერია. შეიძლება, ალბათ, იმის თქმა, რომ ინტენსივობა, ძირითადად, ასპირაციაზე მოდის, რომ წინამავალი ხშვა შედარებით სუსტი იყო: ეს, ალბათ, სინამდვილეს ყველაზე კარგად შეესატყვისებოდა. ასპირაციის შედარებით დიდი ნაწილიდან, სხვათა შორის, შეიძლება აიხსნას აგრეთვე შემთხვევითი თანმხლები მოვლენები.

მაშინ როცა ფ „ფაფარში“ წმინდა ph არის, ისეთ ფორმებში, როგორიცაა ფული phuli, მას გამოკვეთილი ლაბიალური ჩქამი აქვს (რომელიც პირის მომრგვალებულად გაღებისას წარმოითქმის და ɸ-ს წინ ɸ-ს პალატალური ჩქამი უსწრებს). ლაპარაკია ლაფის laphi მსგავს შემთხვევებზე. ამასთან, შეიძლება ჩვენება შემცირდეს, ფ ნაწილობრივ გამოითქვას როგორც f (phuli - დაახლოებით როგორც pɸuli, თუკი ɸ-თი აღვნიშნავ ჩქამს, უჩვეულო phul-თან მიახლოებულს). ბატონი ჟორდანიას ამ გამოთქმას გადაჭრით უარყოფდა და თვლიდა (თუ არ ვცდები), ამას ადგილი მხოლოდ რუსებთან აქვსო.

ერთგვარად უცნაური აღწერაც ბგერისა ერკერტთან² (გვ. 290) ყველაზე უკეთ პოულობს საერთოს ნამდვილ ბგერასთან, როგორიცაა pɸ{u}, ph{i}...

ტ, ჰ, კ ბგერების წარმოთქმისას, ისევე როგორც ɸ და ɸ-ს შემთხვევაში, ხორხის ჩაკეტვა აშკარაა. კერძოდ, ჟორდანიასთან ზუსტად ისეა, როგორც თქვენ თავის დროზე აქ მაჩვენეთ - ხორხის ექსპლოზია გარკვევითაა გამოყოფილი პირის ექსპლოზიისაგან. ის მოსდევს (საპირისპიროდ ორივე ხშვის ერთდროული ექსპლოზიისაგან თბილისურ სომხურში). ასე რომ, p_ʼa, t_ʼa, k_ʼa და მსგავსნი, წინააღმდეგ სომხური pa, ta, ka-

² რიხარდ ფონ ერკერტი (1830-1900) - გერმანელი მეცნიერი, ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი. აქ ივარაუდება მისი ნაშრომი „კავკასიური ძირის ენები“, ეენა, 1895.

საგან (თუკი აქ 'ნიშნით ხორხის ექსპლოზიას აღვნიშნავთ). '-თი გამოხატული ასპირირებული ც, ლ ბგერები საკმარისი სიზუსტით შეესატყვისება ასპირირებულ სომხურ ts, ts' ბგერებს, მხოლოდ მათ, კვლავ, ქართული ასპირატების საერთო ხასიათის შესაბამისად, ერთგვარად მსუბუქი ხშვა ახასიათებს.

სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავყარდი ყ(ღ)-ს ბუნებასთან დაკავშირებით. როცა ჟორდანია მას იზოლირებულად წარმოთქვამდა, მაშინ ის ქმნიდა ღრმა გუტურალურ ხშვას ერთდროულად ხორხის ხშვით; პირის ექსპლოზიამ მოგვცა მკაწრავი ღრმა გუტურალური ხახუნის ჩქამი, შემდეგ მას მოსდევდა, ისე როგორც სხვა ჩვეულებრივ ხშულ ბგერებს, ხორხის ექსპლოზია. დაახლოებით q^h-a, თუკი X-ით აღვნიშნავ გუტურალურ მკაწრავ ჩქამს, გამოთქმა ყველა შემთხვევაში სრულიად განსხვავებული იყო იმისგან, რაც ჩემი თბილისელი სომხისგან ქართული ქ-ს წარმოთქმისას მოვისმინე: ბგერას ჟორდანიასთან აკლდა ჩემ მიერ აღწერილი ძლიერი აწევა ხორხისა, მეორე მხრივ, ჩემს თბილისელთან აკლდა ყოველგვარი კვალი კაწერის ჩქამისა. ამის საფუძველზე ყ თეორიულად შეიძლებოდა ტ, ჰ და მსგავსი ბგერების რიგში ჩაგვეყენებინა. მაგრამ საქმე სრულიად იცვლებოდა გაბმული მეტყველებისას. რადგან მე შიგნიდან აქეთკენ ყ-ს ხორხის ხშვას მივაწერდი და მას აგრეთვე ჟორდანიას იზოლირებული დამარცვლით კითხვისას ვისმენდი, მე მათ აღვადგენდი სიტყვების გამეორებისას. შედეგი კი ის იყო, რომ მე ამას კარგად ვერ ვაკეთებდი: მე უნდა „რბილად“ შელაპარაკა (იმ აზრით, რომ ქართული „რბილად“ ჩანს, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა „ხახის ხშვის გარეშე“).

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან რასაც მე ჟორდანიასგან ვისმენდი, მისი სწორად მიბაძვა არ შემეძლო, სანამ ხახის ხშვას ვწყვეტდი.

ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ ბოლოს დავადგინე, რომ ყ-ს საერთოდ არა აქვს მყარი ნარჩენი ბგერისა, ფაქტობრივად, იგი მერყეობს მჟღერ ხშულსა (ნახე ქვემოთ) და სპირანტს შორის. და დაწოლა ისე მინიმალურია, რომ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ზოგჯერ არც ისმის.

სიტყვა ბაყაყს (baqáqi) ჟორდანია გამოთქვამდა ხან როგორც bagáqi, ხან კი როგორც bayáqi (ანუ ჩქამის მიხედვით ძლიერად რედუცირებული ლ სპირანტი, რომელიც არ ემთხვევა არც ძლიერ ფრიკატივ ღ-ს, არც შესაბამისად — პოზიციას). ესაა საკვებით მსგავსი მოვლენა, რაც გვაქვს სემიტ. დიალექტებში: ძველი qāf-ის მიმართ (გადასვლა გ-სა და gain-ში და ა.შ.), აგრეთვე გადასვლა მარტივ hawz-ში. ეს იქნებოდა გაქრობის გზაზე დამდგარი ქართული ყ {q}.

ახსნაში ჩათრეულია, ამას გარდა, ე.წ. მეღია (მღერი ხშულები), ანუ რიგი ბ, გ, დ, ძ (dzil), ჯ (džan). რამდენადაც ისინი, საერთოდ, აგრეთვე მღერად წარმოითქმიან, მათ აქვთ თავისებური ყრუ ფლერადობა, რაც, ყოველ შემთხვევაში, საერთოდ, დამახასიათებელია ბატონ ჟორდანია მეტყველებისათვის. ჩვეულებრივ კი იგი ლაპარაკობდა, ანლაუტში მაინც, ყრუდ და, სახელდობრ, ან ჩვენი ტიურინგიულ-საქსონიური საკმაოდ ძლიერი ხ, ძ, გ-ს მსგავსი ბგერებით, ანდა ასპირატებით, მაგალითად, ხშირად სრულიად გარკვევით დ-თი ღ-ს სანაცვლოდ. N.B. ძლიერი ხშვით, ვიდრე ძველ ასპირატებთან, როგორცაა დ. ეს იქნებოდა შემართვა ბგერათგანვითარებისთვის, როგორც ეს ხდება სხვადასხვა სომხურ დიალექტში მღერი ხშულების განვითარებით: ყრუ ხშული თანხმოვანი: ასპირატებიც აჩვენებენ აგრეთვე, რომ ჟორდანიასთან ამ საქმეში ჯერ კიდევ სრული ქაოსი სუფევდა.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ზოგჯერ ჟორდანია — არ ვიცი, ინდივიდუალურად თუ არა — ანლაუტში მყოფ მღერ ხშულებს, იმავე მარცვალს რომ არ მიეკუთვნებოდა, დროით გათიშულ ბგერათდარტყმას საშუალებას აძლევდა, წინ წაესწრო, როგორც მაგალითად, {'}gori ანუ: პირის ხშვა, ბგერათშეჯახება, პაუზა, პირის, ექსპლოზია: ბგერის ტონი აქ იქნებოდა წინ წამოწეული, როგორც ' ყრუ ხშულებთან უკნიდან გადმოადგილდება. სხვათა შორის, შეიძლება ჟორდანია ცალკეული ასოების წარმოთქმისას სასკოლო თეორიების გავლენის ქვეშ ყოფილიყო გარკვეულწილად. სულ ცოტა, გამაოგნა იმან, რომ მის მიერ ძ-ს (dzil) წარმოთქმისას მუდმივად ვლებულობდი მისგან მოწოდებას, ჯერ

zita ძ მეთქვა და მხოლოდ ამის შემდეგ dz მიმელო (ამეგო), რადგან იგი ემთხვევა ერკერთან (გვ. 289) გამოთქმულ აზრს, რაც მისი ქართული ავტორიტეტისგან უნდა მოდიოდეს. ამასთან, მეტად სასაცილო იყო, თუ როგორ გამოთქვამდა ფორდანია ძ-ს (ჯ) zita-ში მჟღერად, მაგრამ dz-ს dzil-ში მაშინვე ყრულ წარმოთქვამდა, განსაკუთრებით ყრუ ასპირატში გადასვამდა იმის აღუნიშნავად, რომ მისი zita-წესი არ მოქმედებდა.

ჰ W არის ძლიერ ფართოდ გამოთქმული ლაბიოდენტალი w, რომელიც ჩემი ფონეტიკის §46ნ-ში აღწერილ პაპუსურ f-ს ისე შეესატყვისებოდა, როგორც მჟღერი პარალელი, ე.ი. w-ს წარმოთქმისას ქვედა ტუჩი, რომელიც ოდნავ აწეულია, ზედა კბილებს უახლოვდება, თუმცა მათ შორის ხშირად რჩება 2 მილიმეტრის ან უფრო მეტი სივანის ნაპარალი. ამასთან, ხშირად არ ახლავს გარკვეული ხახუნის ხმა და მთლიანი ეფექტი ჩვენს საშუალებერმანულ ბილაბიალურ w-ს საკმაოდ უახლოვდება.

კიდევ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ფორდანია შ[ξ in]-ს საკმარისად ძლიერ პალატალურად გამოთქვამდა³.

ხმა რომ მსუბუქად აკლდება, მე უკვე აღვნიშნე მედიებზე საუბრისას. ის ეთანხმება თქვენს დაკვირვებებსაც. ყრუ თანხმოვნების მეზობლად მჟღერი კონსონანტი უპირატესად თვითონაც ყრუ ხდება. მაგალითად, okro, hwith და msg. სიტყვა tde (ტყე) ჟღერდა (d(y)-დან γ (ღ)-ს გავლით) თითქმის ისე, როგორც txe (ტხე), მხოლოდ ხ-ს ხახუნის ხმა სწრაფად შეწყვეტილი ჩანს, ვიდრე ეტიმ. x-ში: მსგავსად ჩვენი მკაწრავი ფსევდოუკულარული γ -ისა Iron-ში – წინააღმდეგ tch-ში, თუკი მის წარმოთქმას მოვიწოდებთ.

ხმოვნები იკარგება, როცა მახვილი არ მოუდით, სახელდობრ, ეს შევაძინიე i-სთან, მაგალითად, სწრაფად ნათქვამი odzdath' (პალატალური th-თი) 30, othxmots' 80 და სხვ.

სხვა მაგალითები სიყრუისა ბატონ ფორდანიასთან: mtha, rku, ywthisagan (Schuchardt, გვ.12), ywthiw (თქვი: xfthiw), mxriw (გვ.14) და მსგ.

³ და მთელი დენტალური რიგი, ts და tš ბგერების ჩათვლით, ნაღდ დენტალებს (პოსტდენტალებს) შეიცავს.

„მშვენიერი საშინელება“ მე-8 გვერდიდან გამოთქვა ბატონმა ჟორდანიამ: wzyob (ღ-ც ყრუა)

ფორმაში mathni th-ს ექსპლოზია ხდება, შემდეგ კი ღ-ს ხშვა – ახლიდან.

მე-12 გვერდთან დაკავშირებით ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ტყე Tiflis-ის სახელწოდებაში მხოლოდ რუსულ ნაბეჭდ ტექსტებში გვხვდება, საერთოდ კი, მხოლოდ „თფილისი“ ითქმისო.

ამჟამად სხვა რამის თქმა ან, მით უმეტეს, წერა არ შემიძლია. თუმცა ჩვენ შეგვიძლია საჭიროების შემთხვევაში ამ საკითხებზე კიდევ ერთხელ დაველაპარაკოთ ერთმანეთს პირადად, თანაც მაშინ ზოგ რამეს უფრო ადეილად გადავწყვეტდით.

მაგრამ მე ჯერ, უწინარეს ყოვლისა, დაახლოებით 4 კვირით უნდა გავიდე შინიდან (6-დან ჩემი ადრესია: St. Jodok, შტაინახთან, ტიროლში – მიახლოებით 2 სექტემბრამდე), რათა ჩემი საკმაოდ მოშლილი ნერვები დავიწყნარო. თქვენ შეგიძლიათ ჩემი ახლანდელი გამოთაყვანების დონეზე იმ მარცხის მიხედვითაც იქონიოთ წარმოდგენა, რაც ამ წერილის წერისას მომივიდა. როცა შეცდომა შევამჩნიე, დაიბენი⁴.

გუთაყვა, კვლავ მოტევენას გთხოვთ.

საუკეთესო საღმით ე.ზივერსი“.

მალე ნოე ჟორდანია მიუნხენში გადავიდა, სადაც 1897 წლის მარტამდე დარჩა. 25 მარტს იგი მიუნხენიდან სწერდა შუხართს: „თუ თქვენ რაიმე გჭირდებათ ქართული ენის შესახებ, მისწერეთ ჩემს თანამემამულეს, ბატონ ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელიც სამი დღის წინ ჩამოვიდა. მისი მისამართი ზემოთაა მითითებული. თქვენ შეგიძლიათ მას ქართულად მისწეროთ, რადგან მან ჯერ არ იცის გერმანული ენა. 26 მარტს ნოე ჟორდანიამ დატოვა მიუნხენი და ლონდონს გაემგზავრა, მის ბინაში კი ფილიპე გოგიჩაიშვილი დარჩა. როგორც კი შუხართმა ჟორდანიას

⁴ ზივერსი, ჩანს, ისე გაერთო წერისას, რომ გვერდები აურია და მსჯელობის თანმიმდევრობაც დაარღვია.

წერილი მიიღო, არ დაუხანებია და მაშინვე გაგზავნა წერილი მიუნხენში ახლად ჩასულ ქართველთან. მალე შუხართსა და გოგიჩაიშვილს შორის გულითადი თანამშრომლობა დაწყარდა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც ერთმანეთს, ასე თუ ისე, გაუშინაურდნენ, ეტყობა, შუხართმა სთხოვა გოგიჩაიშვილს, შესაძლებლობის შემთხვევაში ზივერსს ქართული ბგერების ბუნების კვლევაში დახმარებოდა.

1897 წლის 5 ოქტომბრის წერილში გოგიჩაიშვილი სწერს შუხართს: „თუ ბატონი პროფესორი დოქტორი ე. ზივერსი, სხვათა შორის, ქართული ენის ბგერათა ფიზიოლოგიას იკვლევს, მე ჩემი შესაძლებლობით დიდი სიამოვნებით შევიტანდი წვლილს“. მართლაც, 1898 წლის 15 თებერვალს ზივერსმა, ჩანს, შუხართის შუამავლობით გოგიჩაიშვილი თავისთან მიიპატიჟა და, ეტყობა, ამ შეხვედრით კმაყოფილიც დარჩა, რადგან შესაძლებლად მიიჩნია გოგიჩაიშვილთან ხელმეორედ შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ვიზიტის შემდეგ, 1898 წლის 22 თებერვალს, გოგიჩაიშვილმა ასეთი სტრიქონები მისწერა შუხართს: „ერთი კვირის წინ ბატონ პროფესორ ზივერსთან ვიყავი. მან ბგერები მოისმინა და ჩაიწერა. განსაკუთრებით უცნაური ეჩვენა მას „ყ“. მან სურვილი გამოთქვა, როგორც კი თავისუფალ დროს გამოძებნის, კვლავ მომისმინოს მე, რაზეც მე, ჩემი მხრივ, სიამოვნებით დაეთანხმდი“.

ვფიქრობთ, სწორედ ნოე ჟორდანიასა და ფილიპე გოგიჩაიშვილთან ზემოაღნიშნული შეხვედრების შედეგები გამოიყენა ზივერსმა თავის ცნობილ გამოკვლევაში „Grundzüge der Phonetik. Zur Einführung in das Studium der Lautlehre der indogermanischen Sprachen“, Leipzig, 1901.

ვღუარდ ზივერსის დაკვირვება ქართულ ბგერებზე ნაყოფიერი აღმოჩნდა, კვლევის შედეგი არსებითად გაზიარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ: ქართული /თ ფ ქ / ტიპობრივი ფშენივიერებია, რომელთაც ახასიათებს ინტენსიური ასპირაცია (გაზვლედიანის თვალსაზრისითაც ქართულ ფშენივიერებს მეტი ასპირაცია ახასიათებს, ვიდრე ინგლისურ, გერ-

მანუღ და რუსულ შესაბამის თანხმონებს); ქართული მჟღერი ხშულები /ბ გ დ ძ/ ხასიათდებიან „ყრუ ჟღერადობით“, რაც დადასტურებულ იქნა როგორც მჟღერთა პოზიციების მიხედვით კვლევას, ისე სხვა ენებთან შედარებითაც, მაგ., ქართული /ბ დ გ/ რუსულ /ნ ძ რ/-სთან შედარებით ნაკლები მჟღერობით ხასიათდებიან (გ.ახვლედიანი).

ეს გამოკვლევა განსაკუთრებით საყურადღებოა მკვეთრი თანხმონების დახასიათებით: მკვეთრობისთვის არსებითი აღმოჩნდა სახმო სიმების დახშვა ორალურ ხშვასთან ერთად და ხშვათა მოშლის თანამიმდევრობა: ჯერ მოიშლება პირის ხშვა (იმ პაერით, რაც დაკეტილ სახმო სიმებს ზემოთ არის), ამას მოსდევს სახმო სიმების განხშვა (ქართველ ენათმეცნიერთა მიერ ეს თვალსაზრისიც იქნა გაზიარებული. შდრ. ეპოლივანოვი, რომელიც ხშვათა მოშლაში საპირისპირო თანამიმდევრობას ვარაუდობდა – პირის განხშვას, მისი აზრით, გახსნილ სახმო სიმთაგან ამოჭრილი პაერი ახდენს).

ფრიაღ საყურადღებოა დაკვირვება /ყ/ თანხმონებზე, რომელიც ე.ზივერსმა მიაკუთვნა მკვეთრებს და ამავე დროს გაბმულ მეტყველებაში მიუთითა მის სპირანტულ ვარიანტზე: გახვლედიანიც მიუთითებდა [ყ]-ს სპირანტულ შემართვაზე, ამიტომაც უწოდა მას სპირანტოიდი; /ყ/ ქართულში მიჩნეულია ერთადერთ ნაპრალოვან მკვეთრად (თ.უთურგაიძე, თ.გამყრელიძე).

ე.ზივერსი /ვ/-ს წარმოებასაც შეეხო – მიიჩნია ლაბიოდენტალურ თანხმონად წყვილბაგისმიერობისაკენ მიდრეკილებით.

ИМНАИШВИЛИ В. И., УТУРГАИДЗЕ Ф. Г.

ЗАРУБЕЖНЫЙ ИССЛЕДОВАТЕЛЬ О ПРИРОДЕ ГРУЗИНСКИХ ЗВУКОВ

Резюме

Известный исследователь своего времени, профессор Лейпцигского университета Эдуард Зиверс (1850-1932) заинтересовался грузинскими согласными и пытался выявить особенности последних с помощью тбилисского армянина. Знаменитый австрийский языко-

вед Г. Шухардт, считавшийся хорошим знатоком грузинского языка, посоветовал ему, с целью выяснения данного вопроса, обратиться к Н. Жордания, который в это время учился в Германии. Встреча состоялась и Зиверс выяснил природу грузинского консонантизма.

V. IMNAISHVILI, T. UTURGAIDZE

FOREIGN EXPLORER ABOUT THE NATURE OF GEORGIAN SOUNDS

(S u m m a r y)

Famous explorer of his time, professor of the Leipzig University, Eduard Sievers (1850-1932) was interested in Georgian sounds and tried to explore their peculiarities on the grounds of the speech of Tbilisi Armenians. The well-known Austrian linguist H. Schuchardt, who was considered a good expert of the Georgian language, advised him to apply to Noe Zhordania, who was studying in Germany at that time in order to find out this issue. They met and with the help of Zhordania Sievers explored the nature of Georgian sounds.

0. კიკნაძე

დერივატიულ ცვლილებათა ერთი სახეობისათვის (საკითხთა დასმის წესით)

-ობ-ა საწყისური (მასდარული) წარმოშობის სუფიქსი სახელთა მანარმოებლად გვხვდება. ა. შანიძე წერს, რომ ამ სუფიქსს დღეს სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან. ნასახელარი ზმნიდან „მხეც-ობ-ს“ მიღებულია საწყისი „მხეცობა“, რომელსაც პირველწყაროსთან, „მხეც“ სახელთან მეტი საერთო აქვს, ვიდრე „მხეცობს“ ზმნასთან [1,131].

-ობა სუფიქსით ნაწარმოებმა სახელმა შეიძლება მიიღოს კონკრეტული მნიშვნელობა, კერძოდ, კრებითი სახელისა: ამხანაგობა, სტუდენტობა, მეზობლობა, ქართველობა... -ობ სუფიქსი დამოუკიდებლადაც გვხვდება რამდენიმე სიტყვაში: მალლობი, დაბლობი, ფერდობი, ბეჭობი... გამოყოფენ სიტყვებში: ჭაობი, ჭყანტობი, ჭილობი და სხვ. [1,132].

ზმნათაგან -ობ თემატურ ნიშნად მოუღის პირველად ზმნებსაც: ვგმობ, ვთმობ, ვათრობ, ვალბობ, ვშობ, ვსპობ, ვცნობ... და სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოებსაც.

მოქმედებითი გვარის -ობ-იანი ზმნებია: ამბავი – ვამბობ, ბრმა – ვაბრმობ... შესაბამისი საწყისებია: მბობა, ბრმობა. მიმღობათაგან არის ნაწარმოები: ვრცელი – ვავრცობ, საწყისი – ვრცობა, თბილი – ვათბობ და თბობა და სხვ.

აბსტრაქტულ სახელსა და საწყისს აქვს საერთო ნიშნები:

1. შინაარსის მიხედვით ორივენი განეყნებულ სახელთა ჯგუფს მიეკუთვნებიან: ე.ი. ა. შანიძე არ აიგივებს ცნებებს გან-



ყენებული სახელი და აბსტრაქტული სახელი. განყენებული სახელია აბსტრაქტული სახელიცა და საწყისიც.

2. იბრუნვიან.

3. არა აქვთ მრავლობითი რიცხვი, ე.ი. საერთოდ რიცხვის კატეგორია არა აქვთ.

4. -ობა სუფიქსით დაბოლოებულნი იკვეცებიან.

5. -ობა სუფიქსის დართვით ფუძე შეიძლება შეიკუმშოს.

6. მოსალოდნელია ფუძეში ერთდროულად ორივე პროცესი - კუმშვაცა და კვეცაც.

განსხვავებას მათ შორის ქმნის ის, რომ საწყისს შემონახული აქვს ზმნური კატეგორიები: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სახელზმნას (საწყისს) ზმნასთან აახლოებს ლექსიკური შინაარსი, წარმოება, გამოყენება III სერის ფორმათათვის [1,576] და ასკვნის, რომ სახელისაგან ნაწარმოებ ზმნას აღარაფერი აქვს სახელისა, ზმნიდან ნაწარმოებ სახელს კი შერჩება ზმნური ნიშნები.

-ობა სუფიქსი, როგორც ვხედავთ, განყენებულ ცნებათა სახელებს აწარმოებს არსებით სახელთაგან (ქალი - ქალობა), მოქმედებითი გვარის მიძლეობებთან (მეზობელი - მეზობლობა), ვნებითი გვარის მიძლეობა კი, საზოგადოდ, -ობა სუფიქსს ამგობინებს ამგვარი შინაარსის მქონე სახელთა საწარმოებლად (ჭრილ-ობა, გატეხილ-ობა).

მიძლეობას საწყისისაგან განსხვავებით აქვს კიდევ დამატებით ზმნური ნიშანი - გვარის კატეგორია. თავის მხრივ, მიძლეობისაგან -ობა სუფიქსის დართვით კვლავ მიიღება განყენებული სახელი: დაძაბული - დაძაბულ-ობა, მოტეხილი - მოტეხილ-ობა და მისთ.

დაისმის რამდენიმე კითხვა: 1. სად დაიდება ზღვარი -ობა სუფიქსით ნაწარმოებ საწყისსა და აბსტრაქტულ სახელებს შორის, ორივე ხომ განყენებული სახელია? თითქოს პასუხი მოცემულია იმ განმარტებებელ ნიშანში, ზევით რომ ითქვა: საწყისს შემონახული აქვს ზმნური კატეგორიები.



2. მიმღობათაგან ნაწარმოები -ობა სუფიქსიანი განყენებული სახელები რომელ ჯგუფში განვიხილოთ - აბსტრაქტულ სახელთა თუ საწყისებში? ვფიქრობთ - აბსტრაქტულ სახელთა ჯგუფში, რადგან შესაბამისი ზმნა არ არსებობს.

3. თუ საწყისად მივიჩნევთ დამატებლობა, გატეხილობა და მისთანა ფორმებს, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ საწყისში გადაკვეთთ მიმღობისაგან გვარის კატეგორიის ნიშანი - თვისება?

ცხადია, ფორმის ანალიზისას ჩვენ ყოველთვის მივმართავთ ამოსავალ ფორმას, ვამბობთ, მაგ., ამა და ამ გვარის მიმღეობიდან არის ნაწარმოებიო და სხვ. ე.ი. მნიშვნელობა აქვს ზმნური თუ სახელური ფუძე არის ამოსავალი ამა თუ იმ კატეგორიისათვის, კერძოდ, აბსტრაქტული სახელისა თუ საწყისისათვის.

ა. შანიძე ასე მსჯელობს ბჭე (ბვ. მოსამართლე) ფუძიდან ნაწარმოები განყენებული სახელის, საწყისის შესახებ: ბჭე ფუძიდან ნაწარმოებია მოქმედებითი გვარის -ობ თემისნიშნისა ზმნა „ბჭობს“, რომლის საწყისია „ბჭობა“. დღეს ამ ფორმაში ჩვენ ზმნურ ნიშნებს უფრო ვამჩნევთ და საწყისიაო ვიტყვი (შინაარსით მოქმედების გამოშხატველი -ი. კ.).

მაგრამ ასე თამამნი ვერ ვიქნებით, ალბათ, კაც ფუძიდან ნაწარმოები კაც-ობ-ა ფორმის მიმართ: კაც-ი, კაც-ობ-ს, კაც-ობ-ა. წარმოების გზა იმგვარიეა, როგორსაც ბჭ-ობ-ა ფორმისათვის ვარაუდობს ა. შანიძე (ბჭე, ბჭ-ობ-ს, ბჭ-ობ-ა). „კაცობა“ სიტყვაში კაც ფუძის სახელური მნიშვნელობა აქტიურია და, ამდენად, მას აბსტრაქტულ სახელთა ჯგუფს მივაკუთვნებთ. ასეთივე წარმოებისაა დედა -დელობა, ერთი - ერთობა, ცული - ცულობა და ა.შ. ამავე სიტყვებიდან არის მიღებული ნასახელარი ზმნები: დედობს, ცუდობს და მისთ.

მაშინ დაისმის კითხვა, სად გაივლება ზღვარი -ობა-თი ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელსა და საწყისს შორის? ფორმოპირივი დამთხვევა სრულებითაც არ გულისხმობს შინაარსის ერთნაირობას. საწყისი და აბსტრაქტული სახელი სემანტიკურად მაშინ განსხვავდება, როდესაც ფორმათა აბსოლუტური დამთხვევა



გვაქვს და ამაში დიდი წვლილი სინტაქსს უდევს. მაგალითით-
 სათვის ავიღოთ ასეთი ფრაზები: „გაიმართა პურობა“ და „მჭადმა
 პურობა ვერ გაგვიწია“. ერთი და იმავე ძირისაგან -ობა
 სუფიქსით ნაწარმოები სახელი „პურობა“ პირველ მაგალითში S
 - ქვემდებარეა, მეორეში O¹ - პირდაპირი დამატება, რაც გან-
 საზღვრულია ზმნის პირიანობითა და გარდამავლობით: მაგრამ ამ
 სიტყვას ფრაზაში განსხვავებული სემანტიკური დატვირთვაც
 აქვს. პირველ შემთხვევაში - „გაიმართა პურობა“ - მითითებაა
 წვეულებაზე, პურის ჭამაზე, რაც ზოგადად ცერემონიულსაც
 გულისხმობს და განყენებული მნიშვნელობა აქვს. ფრაზაში
 „მჭადმა პურობა ვერ გაგვიწია“, საუბარია პურის, საკვები პრო-
 დუქტის ერთი სახეობის მაგივრობაზე, ყურადღება გამახვილებუ-
 ლია კონკრეტულ საგანზე. რომელ გრამატიკულ კატეგორიას მი-
 ვაკუთვნოთ პურობა განყენებული სახელი? როდის არის იგი
 აბსტრაქტული სახელი და როდის საწყისი? თუ ერთი კატეგო-
 რიაა - ნასახელარი ზმნიდან მიღებული საწყისი: პური, პურ-
 ობ-ს, პურ-ობ-ა და განსხვავება მეორეულია? გამოიჯენა ჭირს.

მართალია, აბსტრაქტული სახელიცა და საწყისიც განყე-
 ნებული სახელებია, მაგრამ ისინი იდენტურნი არ არიან. ასე
 რომ იყოს, საჭიროც არ იქნებოდა აბსტრაქტულ სახელთა ჯგუ-
 ფისა და საწყისის გამოყოფა. ენა ცდილობს მათი ერთიმეორე-
 საგან გასარჩევად თავისი შესაძლებლობები (მორფოფონემატური,
 სინტაქსური და სხვ.) გამოიყენოს.

ზევით ითქვა, რომ -ობა სუფიქსის დართვა სიტყვის ფუძეში
 იწვევს ცვლილებებს. ამ კუთხით ქართული ენის ინვერსიული
 ლექსიკონის მასალაზე დაკვირვება შეიძლება საყურადღებო იყოს
 აბსტრაქტული სახელებისა და საწყისის ფორმათა გასამიჯნად.

-ობა სუფიქსი ერთვის როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმო-
 ვანფუძიან სახელებს. ჩვენი დაკვირვებაც ამ მიმართულებით
 წარიმართა. საანალიზოდ შევარჩიეთ ა და ე ხმოვანფუძიანი სა-
 ხელები და თანხმოვანფუძიანი სახელები.

დაკვირვებამ გამოავლინა: 1. ა ბოლოხმოვნიანი სახელური
 ფუძეების ერთი ნაწილი, ერთ, ორ და მეტმარცვლიანი, ზოგჯერ
 -ობა სუფიქსის დართვისას მოიკვეცს ა ხმოვანს:

და - დობა, დედა - დედ-ობა, მამა - მამ-ობა, ბაბა - ბამბ-ობა.

2. ა ფუძიანი სახელები გვიჩვენებენ პარალელურ ფორმებს:

მონა - მონ-ობა / მონა-ობა,

დანა - დან-ობა / დანა-ობა,

ძერა - ძერ-ობა / ძერა-ობა,

სხვა - სხვ-ობა / სხვა-ობა...

3. პარალელურ ფორმებს წარმოქმნიან ია-ზე დაბოლოებული ფუძეები:

წუნია - წუნი-ობა / წუნია-ობა,

ბაქია - ბაქი-ობა / ბაქია-ობა,

ბებია - ბები-ობა / ბებია-ობა და მისთ.

4. ე ბოლოხმოვნიანი სახელური ფუძეების პარალელური ფორმები ნაკლებად გვხვდება. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

მზე - მზ-ობა / მზე-ობა,

სიძე - სიძ-ობა / სიძე-ობა,

მოყვარე - მოყვრ-ობა / მოყვარე-ობა...

5. ე ბოლოხმოვნიანი სახელები, პირველადებიცა და მიმდევობებიც, წარმომავლობის სახელები უმეტესწილად არ იკვეცებიან: მემტრედე-ობა, მეჯოგე-ობა, მწდე-ობა, დდე-ობა, ზნე-ობა, მე-ობა...

მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ერთი და იმავე ფუძის განსხვავებული ვარიანტები იძენენ განსხვავებულ მნიშვნელობას ერთგვარი, საერთო მაწარმოებელი ელემენტის წინ; მაგ. დანა: დან-ობა, დანა-ობა, გუნდა: გუნდ-ობა, გუნდა-ობა, პეპელა: პეპელ-ობა, პეპელა-ობა / პეპლ-ობა, პეპლა-ობა (კუმშვადი და კვეცადი ან კუმშვად-კვეცადი ვარიანტი) ან: მასხარა: მასხარა-ობა, მასხარ-ობა, მასხრ-ობა და სხვ.

ამგვარი წარმოება, ჩვენი დაკვირვებით, ახასიათებს ა ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს (ე-ზე დაბოლოებულთ ნაკლებად). -ობა სუფიქსიანი შეკვეცილი თუ შეუკვეცილი ფუძეებით დაპირისპირებამ წარმოქმნა ახალი დერივანტი -ობა, რომელიც ენამ გამოიყენა ფუძეთანხმოვნიან სახელებთანაც. მაგ.: ხელი - ხელ-ობა და ხელ-ობა; ცილი - ცილ-ობა და ცილ-ობა; თაგვი - თაგვ-ობა და თაგვ-ობა; თევზი - თევზ-ობა და თევზ-ობა.

ასეთი დაპირისპირების დროს პირველადი სახელის ფუძეც შესაბამისად შეკუმშულია ან შეუკუმშველი. მაგ.: ხმალი - ხმლობა და ხმალ-აობა; ნამგალი - ნამგლობა და ნამგალ-ობა/ნამგლ-აობა და ნამგალ-აობა.

ზოგ შემთხვევაში პირველადი ფუძე ერთნაირად არის წარმოდგენილი დაპირისპირებულ წყვილებში: კურდღელი - კურდღლობა, კურდღლ-აობა; კაკალი - კაკლობა და კაკლ-აობა.

ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, თევზ-ობა და თევზ-აობა სემანტიკურადაც განსხვავებული ოდენობებია. თევზობა, ღორობა, კაკლობა სახელებია, -აობა სუფიქსით ნაწარმოები თევზაობა, კაკლაობა და მისთ. კი ზმნური მნიშვნელობის მქონეა - მოქმედებაზე მიუთითებს. ასევე ვიტყვით დან-ობა და დან-აობა, გუნდ-ობა და გუნდ-აობა ფორმებზე.

ცხადია, -ობა და -აობა დერივანტები ერთგვარ ფუძეებთან დაპირისპირებას ქმნიან. ეფიქრობთ, ასეთი დაპირისპირება გვაძლევს საშუალებას დანობა ტიპის წარმოება (შდრ. კაცობა, დედობა, მშვიდობა და მისთ.) აბსტრაქტულ სახელებად მივიჩნიოთ, დან-აობა, თევზ-აობა, კურდღლ-აობა და მისთ. კი საწყისად.

-ობა მაწარმოებლის გვერდით -აობა თანხმოვანფუძიან სახელებთან შეიძლება ა ბოლოზმოვნიან სახელთა ანალოგიით იყოს შეპირობებული: დანა - დანაობა, დანობა; შდრ. თევზი - თევზაობა, თევზობა.

საყურადღებოა, რომ ლ. ნოზაძე თევზაობს ტიპის ზმნათათვის ვარაუდობს -ავ სუფიქსიან ფორმებს (თევზავს) [2], გ. გოგოლაშვილს სადავოდ მიაჩნია „ძირულ ზმნებსა და თანხმოვანფუძიან სახელთაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში -ავ ელემენტის არსებობის ახსნა ა ზმოვანფუძიან უკვეცელ სახელთაგან ნაწარმოები ზმნური ფორმების ანალოგიით“ [3]. გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს: „ნასახელარ ზმნებში ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები მარტივი და რთული (-ავ ელემენტი) ფორმები არ შეგვხვედრია (ხაზგასმა ჩვენია - ი. კ.). სახელთა ერთი ნაწილი ზმნურ ფორმებს -ავ ელემენტით იწარმოებს (ითევზავებს, იბურთავებს...), ზოლო, მეორე ნაწილი - მარტივად, -ავ

ელემენტის გარეშე (მეფობს, ბავშვობს, კაცობს...). მიუხედავად ამისა, მაინც შეიმჩნევა აშკარა შინაარსობრივი სხვაობა „ითევზავა“ და „იმეფა“ ტიპის ფორმებს შორის. სხვაობას ქმნის მიმართება ზმნის სუბიექტსა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის. „იმეფა“ ტიპის ზმნურ ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგანი სუბიექტისათვის მიბაძვის, მიმსგავსების საგანია [3].

„ითევზავა“ ტიპის ზმნებში მიმართება სუბიექტსა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის კი სხვაგვარად ხასიათდება. ავტორის დაკვირვება საყურადღებოდ გვეჩვენება. მხოლოდ, ჩვენი მხრით დაუმატებთ – ერთი და იმავე ფუძიდან შეიძლება -ავ ელემენტიანი წარმოებაცა და ამ ელემენტის გარეშეც: ითევზავა და ითევზა. ერთსაც და მეორესაც თავისი უღლების პარადიგმა აქვს. „ითევზავა“ განეკუთვნება „იმეფა“ ტიპს. „იმეფავა“ კი „ითევზავა“-სგან განსხვავებით ენაში არ მოგვეპოვება.

-ავ ელემენტზე მსჯელობა ამჟამად უფრო ღრმად და დაბეჯითებით არ შეგვიძლია. ვფიქრობთ, საკვლევი კიდევ ბევრია.

ერთი კი ფაქტია: -ობა და -აობა დერივატებია, რადგან ერთსა და იმავე სახელურ ფუძესთან ლექსიკური დაპირისპირებისათვის გამოიყენება.

ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953წ.
2. ლ. ნოზაძე, მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკვ XIX, 1997წ.
3. გ. გოგოლაშვილი, -ავ ელემენტიან მედიაოქტიურ ზმნათა შესახებ ქართულში. ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980წ.

ОБ ОДНОЙ РАЗНОВИДНОСТИ ДЕРИВАТИВНЫХ ИЗМЕНЕНИЙ

Резюме

Словообразовательный суффикс *ობა* и выделенный нами *აობა* являются деривантами – употребляются для лексического противопоставления слов с одной и той же основой; напр.: ხელი (рука): ხელობა (ремесло), ხელობა (ловля рыб руками); სხვა (другой): სხვობა (быть другим, чужим), სხვაობა (разница).

I. KIKNADSE

ÜBER EINE BESONDERHEIT DER DERIVATIVEN VERÄNDERUNGEN

Zusammenfassung

Wortbildungssuffixe *ობა* und *აობა* sind Derivate. Sie werden für die lexikalische Gegenübersetzung der Formen eines und das selben Stammes benutzt, z.B.: ხელი (die Hand): ხელობა (die Handwerk), ხელობა (Fischfang mit der Hand); სხვა (anderer): სხვობა (Anderssein, Fremdsein), სხვაობა (Unterschied).

თ. მახარობლიძე

ბასკური ზმნის ადრესატობისა და ქართული ზმნის ვერსიის კატეგორიათა ტიპოლოგიური შპაირისპირების ზოგიერთი საკითხის შესახებ

ბასკური, როგორც იზოლირებული ენა, ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში რჩება. საყოველთაოდ ცნობილი ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის საბოლოო გადაწყვეტის მიზნით ბასკური ენის ტიპოლოგიური კვლევა თანამედროვე ეტაპზე ძირითადად წარმართულია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიმართულებით. ამდგვარი ტიპოლოგიური ლინგვისტური კვლევის ერთ-ერთი ურთულესი ობიექტი არის ზმნა. ენის სინქრონულ დონეზე ბასკური ზმნების დიდი უმრავლესობა ანალიტიკური ფორმებით იწარმოება. ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოხატვის უნარი აქვთ მხოლოდ დამხმარე ზმნებსა და ზმნათა იმ ნაწილს, რომელსაც სინთეტიკური უღლების რიგები გააჩნიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრესატობის მორფოლოგიური კატეგორიის კვლევა ბასკურ ენაში სულ ორიოდ სტატიით თუ შემოიფარგლება (22;23). ბასკოლოგები უღლებათა პარადიგმებში გამოყოფენ ადრესატულ ფორმებს და უწოდებენ ირიბ უღლებას (flexiones indirectos), განასხვავებენ რა ე.წ. პირდაპირი უღლების (flexiones directos) რიგებისაგან (22,15). უფრო ხშირად ზმნის ადრესატულ ფორმებს ბასკურ ენათმეცნიერებაში მიცემითიან ფორმებად მოიხსენიებენ (4;9;16). მაგრამ ბასკოლოგთა ნაშრომებში ადრესატობა, როგორც ზმნის მორფოლოგიური კატე-

გორია, ცალკე კატეგორიად არ გამოიყოფა. იგი არ არის სათანადოდ გამოვლენილი, აღწერილი და შესწავლილი. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ინდოევროპულ ენებთან შეპირისპირების საფუძველზე ადრესატობის, როგორც ზმნური კატეგორიის გამოვლენა, შეუძლებელია. ამის საშუალებას იძლევა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ, კერძოდ, ქართველურ ენებთან ტიპოლოგიური შეპირისპირება.


ბასკურისაგან განსხვავებით, ქართული ზმნის ვერსიის კატეგორიას შესწავლის დიდი ისტორია აქვს. ვერსიის მორფოლოგიური კატეგორია თითქმის ამოწმურავად არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. ხოლო რაც შეეხება ამ კატეგორიის ტიპოლოგიურ ანალიზს, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ვერსიის კვლევა ამ მხრივ კავკასიურ ენებს არ გასცილებია.

ადრესატობა ბასკური ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ ვისი ინტერესებისაკენ მიემართება სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედება. ეს არის ვექტორული კატეგორია, რომელიც ზმნის შინაგანი დინამიკის დანიშნულებითი მიმართულების მაჩვენებელია.

ბასკური ზმნის ადრესატი არის მორფოლოგიური ირიბი ობიექტი, ვისი ინტერესებისაკენაც მიემართება ზმნით გამოხატული მოქმედება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის აქტანტი, რომლისკენაც ადრესირებულია, ანუ ორიენტირებულია სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედება. ადრესატს რ. ლაფონი მიმართების ობიექტს, ანუ რეფერენტს უწოდებს (4;46). ბასკური ზმნის ირიბი ობიექტი მხოლოდ ადრესატია. დისტრიბუციული მიმართება ბასკური ზმნის ადრესატსა და ირიბ ობიექტს შორის არის თავისუფალი ვარირება.



ქართული ზმნის ირიბი ობიექტი შეიძლება იყოს ბენეფაქტივი, პოსესორი, ლოკატივი ადრესატი და ა.შ. (18,135). შესაბამისად, ქართული ზმნის ირიბი ობიექტი და ამავე ზმნის ადრესატი სხვაგვარ დისტრიბუციულ ურთიერთმიმართებას გვიჩვენებს:



ირიბი ობიექტის ბრუნვა ბასკურში, ისევე როგორც ქართულში, არის მიცემითი ბრუნვა, ე. ი. ადრესატს სახელებში მხოლოდ დატიური კონსტრუქცია შეესაბამება. სინტაქსური განხილვისას ორივე შემთხვევაში ეს აქტანტი იქნება ირიბი დამატება. წინადადებაში "Yon amari agur egiten ari zaió" (20, 12) იონი დედას ემშვიდობება (სიტყვ. იმყოფება სალმის მიცემაში) ადრესატია ama-r-i – დედას ირიბი დამატება გადმოცემული მიცემითბრუნვიანი საზოგადო, ვინ ჯგუფის, სულიერი არსებითი სახელით;¹ დამხმარე ზმნაა zaió, სადაც z – მესამე სუბიექტური პირის მხოლობითი რიცხვის მაჩვენებელია, a – ზმნის ძირის ნაშთია (izan– ყოფნა), i – ადრესატობის კატეგორიის მარკორი, o – მესამე ირიბი ობიექტური პირის მხოლობითი რიცხვის ნიშანი.

ზაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბასკური ზმნა, ისევე როგორც ქართული, პოლიპერსონალურია. ბასკურ და ქართულ ზმნებში პირთა შედგენილობის მიხედვით განასხვავებენ ოთხ ტიპს:


1. ერთპირიანი ზმნა (მხოლოდ სუბიექტური პირი)
2. ორპირიანი გარდამავალი (ზმნა სუბიექტითა და პირდაპირი ობიექტით)
3. ორპირიანი გარდაუვალი (ზმნა სუბიექტითა და ირიბი ობიექტით)
4. სამპირიანი (ზმნა სუბიექტით, პირდაპირი და ირიბი ობიექტებით)

¹ აღსანიშნავია, რომ ბასკური ზმნის ირიბი ობიექტი სახელებში ყოველთვის სულიერობის კატეგორიით ხასიათდება.

ზმნის პოლიპერსონალიზში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ზმნის პირთა შორის დანიშნულებითი მიმართულების მორფოლოგიური კატეგორიების არსებობისათვის. ამდენად, შესაძლებლად მიგვაჩნია საკითხის დასმა შესაბამისი იმპლიკაციური უნივერსალის არსებობის შესახებ, კერძოდ: თუ ზმნას აქვს ადრესატობის მორფოლოგიური კატეგორია, ზმნა პოლიპერსონალურია. ეს უნივერსალია იქნება სტატიისტიკური, ინდუქციური და ცალმხრივი, რამდენადაც ზმნის პოლიპერსონალიზში, თავის მხრივ, არ გულისხმობს ადრესატობის კატეგორიის აუცილებლობას.

აქვე გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ამავე ხასიათის „იმპლიკაციური დებულება აბსოლუტური უნივერსალის სახით“ წამოყენებული აქვს მ. მაჭავარიანს: „ზმნის მორფოლოგიის დონეზე ქცევის კატეგორია ხორციელდება მხოლოდ იმ ენებში, სადაც დასტურდება ამავე სახის პირის კატეგორიაც. თუ ზმნას მორფოლოგიურად გამოხატული პირის კატეგორია არა აქვს, არც ქცევის კატეგორია ექნება“ (5,23). ჩვენ ვიზიარებთ ამ უნივერსალიურ დებულებას მცირეოდენი დაზუსტებით – ეს არის არა აბსოლუტური, არამედ სტატიისტიკური უნივერსალია. აბსოლუტური უნივერსალია გულისხმობს ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის გავრცელებას მსოფლიოს ყველა ენაში უკლებლივ; ხოლო რაც შეეხება მ. მაჭავარიანის მიერ წამოყენებულ უნივერსალიას, როგორც ეს თავად დებულების შინაარსიდანაც ჩანს, ეს არის არასრული, ანუ სტატიისტიკური უნივერსალია, რომელიც ხასიათდება ინდუქციურობითა და ცალმხრიობით. ზმნის პოლიპერსონალიზში კი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია (სინტაქსური ვალენტებისაგან განსხვავებით), თავისთავად გულისხმობს ზმნაში პირის კატეგორიის ასახვას. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ წამოყენებული უნივერსალია შინაარსობრივად შეიცავს მ. მაჭავარიანის უნივერსალური დებულების არსს.

ენაში დანიშნულების მორფოლოგიური, კერძოდ, – ზმნური კატეგორიების რეალიზაციის ოთხი სავარაუდო მოდელი არსებობს.




პირველი მოდელი არსებობს თანამედროვე ქართულ ენაში; ეს გაზღავთ ვერსიის სამგანზომილებიანი სისტემა. მეორე მოდელი არის ბასკურ ენაში, სადაც უადრესათო ფორმებს საოპოზიციო ადრესატული წყვილები შეესაბამებათ. მესამე მოდელი მოიპოვება რუსულ ენაში (умыл – умылся, одел – оделся). მეოთხე მოდელი ჩვენთვის უცნობია.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება ქცევის კატეგორიის ორგანზომილებიანი მოდელის შესახებ. ნეიტრალური ვერსიის (როგორც ნულოვანი ვერსიის) იგნორირებით, ქართული ვერსიის კატეგორია მეოთხე მოდელის სახეს იღებს და ოპოზიციამში მხოლოდ სუბიექტური და ობიექტური ქცევის ფორმები უპირისპირდებიან ერთმანეთს (2, 177-198). ჩვენი აზრით, ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის ამდაგვარი ბინარული ოპოზიციის მოდელის შემოთავაზება უმართებულაა ორი ძირითადი მიზეზის გამო: 1. ნეიტრალური ქცევის ფორმები ვერსიის ოპოზიციათა ორგანული ნაწილია (მაშინაც კი, როდესაც ეს ქცევა ნულოვანი მარკირებით არის წარმოდგენილი); 2. ერთი და იგივე მორფემა

² (-) – ნული, S – სუბიექტი, O – ობიექტი

„ი“ ვერ განასხვავებდა პირველად ბინარულ ოპოზიციას ვერსიის სუბიექტურ და ობიექტურ ფორმებში (მით უმეტეს, რომ მკვლევართა უმრავლესობას „უ“ შედარებით გვიანდელი წარმოშობის მორფემად მიაჩნია).

დიაქრონული თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართული ვერსიისათვის მეორე მოდელის პირველადობა, ე. ი. საოპოზიციოდ ნეიტრალური და ვერსიული ფორმების არსებობა. ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის განვითარების ეტაპები სქემატურად ასე გვესახება:



ამ აზრს ადასტურებს ის ფაქტი, რომ „ი“ საერთო მორფემაა პირველი და მეორე პირებში სუბიექტური და ობიექტური ქცევის ფორმებისათვის. კატეგორიის ერთი მორფემა, როგორც მინიმალურად სეგმენტირებული ერთეული, ერთი ფუნქციით განისაზღვრება. ენაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთ მორფემას ორი ფუნქცია აკისრია, მაგალითად: ბრუნვისა და რიცხვის ჩვენება რუსულ სახელებში ან პირისა და რიცხვის ჩვენება ბასკურ ზმნებში; ორფუნქციანი მორფემა ორფონემური „გვ“ პრეფიქსი, რომელიც ქართულ ზმნებში რიცხვისა და პირის კატეგორიას ერთდროულად გამოხატავს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ორი სხვადასხვა კატეგორიის რეფერენციალურ სინთეზირებას, რაც დაუშვებელია ერთი კატეგორიის საოპოზიციო ფორმებისათვის.


რაც შეეხება სუბიექტურ ქცევას, სავსებით ვიზიარებთ გ. ნებიერიძის აზრს, რომელიც წერს: „სუბიექტური ქცევა სხვა არაფერია, თუ არა რეფლექსური მიმართება სუბიექტისა ირიბ ობიექტთან“ (6,144). ირიბი ობიექტი ერწყმის სუბიექტს. მოქმედი

პირი და ის აქტანტი, ვისი ინტერესებისკენაც მიემართება ზმნით გამოხატული მოქმედება, გაერთიანებულია სუბიექტურ პირში. ამ შემთხვევაში სუბიექტურის შინაარსობრივი მოცულობა იზრდება და შეიცავს ე.წ. გასუბიექტურებულ ირიბ ობიექტს.

ჩვენი აზრით, რეფლექსივის კატეგორია ქცევისაგან დამოუკიდებელი, განსხვავებული კატეგორია იყო ენის დიაქრონულ ჭრილში; ამის დასტურია რეფლექსური „თავის“ (და მისგან წარმოქმნილი „თვის“) ფორმებისა და სუბიექტური ქცევის ფორმათა პარალელური ხმარება თანამედროვე ქართულში: ვაშენებ ჩემთვის — ვიშენებ, ვაკეთებ ჩემთვის — ვიკეთებ და ა.შ. არცთუ ნაკლები სიხშირით გვხვდება რეფლექსივის გამოხატვის ამ ორი საშუალების სინთეზირების მაგალითები: ვიშენებ ჩემთვის, ვიკეთებ ჩემთვის და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს რეფლექსურობის კატეგორიის ორმაგ აღნიშვნას, ამდაგვარი ფორმების არსებობა გამორიცხებულია ობიექტური ქცევის შემთხვევაში; ვუკეთებ მისთვის, ვუშენებ მისთვის და ა. შ. — ასეთი ფორმები ქართულ ენაში არ გვხვდება. სავარაუდოა, რომ ენის მიერ მათი უარყოფა გამოწვეულია „თვის“ თანდებულის ისტორიული არსით, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ობიექტური ქცევის შინაარსისგან. ამრიგად, შეუთავსებელია ამ ორი ფენომენის („თვის“ თანდებულისა და ობიექტური ქცევის ფორმების) თანადროული გამოვლინება ენაში.

რეფლექსივის კატეგორია, როგორც ზმნის დანიშნულებითი ვექტორული კატეგორია, თავისი არსით საკმაოდ ახლოს აღმოჩნდა ქცევის კატეგორიასთან. ქართული ზმნის პრეფიქსალურმა მონოპერსონალიზმმა კი თავის მხრივ განაპირობა ენაში სუბიექტური და ობიექტური ქცევების საოპოზიციო წვეილებად ჩამოყალიბება, ე.ი. რეფლექსივი შეერწყო ქცევის კატეგორიას. ენის სინქრონულ დონეზე ორიენტაციის ღერძიდან გვაქვს ორი (ინტრო- და ექსტროვესტული)³ დანიშნულებითი ვექტორი. თანამედროვე ქართული ზმნის ქცევის გრაფიკული სახე ასე გამოიყურება:

³ მ. მაჭავარიანის მიერ გამოყენებული ტერმინები „ორიენტაციის ღერძი“, „ინტროვერტიზაცია“, „ექსტროვერტიზაცია“ ერთობ ზელსაყრელ და ზუსტ ტერმინებად მიგვაჩნია ქცევის კატეგორიის დახასიათებისათვის.



მათემატიკური სიმეტრიის ღერძზე (-) არის ნული, ანუ ნე-იტრალური ვერსია, ორიენტაციის უარყოფითი მიმართულების გამოშხატველი იქნება მოქმედების ექსტროვერტიზაცია (სუბიექტის მიერ მუხტის გაცემა) და დადებითი მიმართულებით დახასიათდება მოქმედების ინტროვერტიზაცია, ანუ რეფლექსურობა.

რაც შეეხება ბასკური ზმნის მოქმედების ინტროვერტიზაციას, უნდა აღინიშნოს, რომ რეფლექსივი საერთოდ, ბასკურში არის ლექსიკური და არა გრამატიკული კატეგორია. ამიტომაც ლექსიკური საშუალებებით ხდება ამ კატეგორიის გამოხატვა. ზმნაში რეფლექსივობა ფორმალური ადრესატობით გამოიხატება: "Nere buruari ezan diot" - ჩემს თავს ვუთხარი. ისევე როგორც ქართულში, აქაც buru (თავი) ატარებს უკუქცევითობის შინაარსს. ზემოხსენებულ წინადადებაში buruari (თავს) მიცემითი ბრუნვით გადმოცემული ფორმალური ადრესატია, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს რეფლექსურობას. თუ ქართული ზმნისათვის ამოსავლად მივიჩნევთ ზმნის დანიშნულებითი ურთიერთობის გამოშხატველ მეორე მოდელს, მაშინ ეჭვგარეშე აღმოჩნდება ის ფაქტი, რომ ქცევის კატეგორია, ისევე როგორც ადრესატობის კატეგორია, ირიბი ობიექტის კატეგორიაა. რაც შეეხება პირდაპირ ობიექტსა და გარდამავლობის კატეგორიას, ეს ფაქტორი ირელევანტურია როგორც ქართული ვერსიისათვის, ასევე ბასკური ადრესატობისათვის. კერძოდ, ქართულში გვხვდება ობიექტური ქცევის გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით. შესაბამისად ბასკურ ზმნასაც მოეპოვება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ადრესატული ფორმები, რომლებიც ამ კატეგორიის თვალსაზრისით არანაირ სხვაობას არ გვიჩვენებენ.

ვერსია, ისევე როგორც ადრესატობა, ზმნის გარდამავლობისგან დამოუკიდებელი კატეგორიაა და ამდენად შედარებით ძველია ისტორიული თვალსაზრისით. ხოლო რაც შეეხება ქართული ზმნის გვარის კატეგორიას, იგი განზილული უნდა იქნეს, როგორც ირიბი და პირდაპირი – ამ ორი ობიექტის კატეგორიათა სინთეზური კატეგორია, ე.ი. როგორც ვერსიისა და გარდამავლობის სინთეზური კატეგორია.

ჩვენი აზრით, ერგატიული კონსტრუქციის ენებში ზმნის მთავარი დიათეზა არის დესტინატურობის (ანუ დანიშნულებითი) გრადაცია, ხოლო ნომინატიური კონსტრუქციის ენებისათვის ზმნის მთავარ ოპოზიციას გარდამავლობა – გარდაუვლობა ქმნის.




ზმნის დანიშნულებითი მიმართულების ათვლა ენაში ხდება სუბიექტიდან (ისევე როგორც გარე სამყაროს ყოველგვარი პარამეტრები აითვლება წმინდა ლინგვისტური „მე“-დან). ზემოხსენებული მეორე მოდელის კონკრეტული რეალიზაცია ბასკურ ენაში შემდეგნაირად ხდება:



გამორიცხულია $S_1 \rightarrow A_1$ და $S_2 \rightarrow A_2$, რადგანაც, როგორც აღნიშნეთ, რეფლექსურობა ბასკურში ზმნის მორფოლოგიური კატეგორია არ არის;

⁴ A – ადრესატი

ქართულ ენაში გვეჩვენა:



როგორც ქართული ვერსია, ასევე ბასკური ადრესატობა ზმნის გრამატიკული, დერივაციული კატეგორიაა. ბასკური ზმნა ადრესატულ ფორმებს აწარმოებს უადრესატო ფორმებზე ამ კატეგორიის ორმორფემული მარკერის დართვით და შესაბამისად ზრდის სინტაქსურ ვალენტობას, ე. ი. ზმნას ემატება ირიბი ობიექტი, ანუ ადრესატი. ერთპირიანი ზმნა ხდება ორპირიანი გარდაუვალი: $S+O_{ირ.} \Rightarrow S.O_{ირ.}$. ხოლო ორპირიანი გარდამავალი ზმნა კი ხდება სამპირიანი: $S.O_{პ.}+O_{ირ.} \Rightarrow S.O_{პ.} O_{ირ.}$. ასეთივე ტრანსფორმაციას აქვს ადგილი ქართულ ზმნაში ობიექტური ვერსიის ფორმების წარმოებისას.


იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთპირიანი და ორპირიანი გარდამავალი ზმნები ბასკურში უადრესატო ფორმებია, რამდენადაც არ მოეპოვებათ თავად ადრესატი, ანუ ირიბი ობიექტი. ზმნის პერსონალობის მიხედვით ქართული ქცევისა და ბასკური ადრესატობის შეპირისპირება ასეთ სურათს იძლევა:

ზმნის პერსონალობა	ქართული ზმნა	ბასკური ზმნა
ერთპირიანი (S)	ნეიტრალური ვერსია (ობიექტური ვერსია არ გააჩნია)	უადრესატო
ორპირიანი გარდამავალი (S. Oპ.)	ნეიტრალური ვერსია სუბიექტური ვერსია (ობიექტური ვერსია არ გააჩნია)	უადრესატო
ორპირიანი გარდაუვალი (S. Oირ.)	ნეიტრალური ვერსია ობიექტური ვერსია	ადრესატული
სამპირიანი (S. Oპ. Oირ.)	ნეიტრალური ვერსია ობიექტური ვერსია	ადრესატული

როგორც ვხედავთ, ნეიტრალური ვერსია ქართული ზმნის ოთხივე ტიპს მოეპოვება, ამდენად ასეთი შეპირისპირებისათვის იგი ირელევანტურია. ტიპოლოგიური შეპირისპირების თვალსაზრისით რელევანტური ღირებულება გააჩნია ქართული ზმნის ობიექტურ ვერსიას, რომელიც, თავის მხრივ, იზომორფულ ოპოზიციას ქმნის ბასკური ზმნის შესაბამისი პერსონალობის მქონე ფორმებთან.

სინქრონულ დონეზე ქართული ზმნა ვერსიულ ფორმათა შორის განასხვავებს ოპოზიციურ წყვილებს (სუბიექტური და ობიექტური ფორმები). ბასკური ზმნის ადრესატულ ფორმებს კი საოპოზიციოდ მხოლოდ უადრესატო ფორმები მოეპოვებათ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბასკურ ზმნას, ადრესატობის კატეგორიის მიხედვით, სხვაგვარი ოპოზიცია გააჩნია; კერძოდ, ერთი მხრივ არსებობენ ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი ზმნები, რომელთაც უღლების მხოლოდ ადრესატული რიგები გააჩნიათ, პირობითად მათ უწოდებთ დადებით ზმნებს (რამდენადაც ამ კატეგორიის თვალსაზრისით ისინი დადებითი ზმნებია) და, მეორე მხრივ, ბასკურ ენაში მოიპოვება ერთპირიანი და ორპირიანი გარდამავალი ზმნები, რომლებიც არასოდეს არ დაირთავენ ირიბ ობიექტს და ყოველთვის უადრესატონი არიან. პირობითად მათ უწოდებთ უარყოფით ზმნებს. ამრიგად, შუალედური ზმნები, იქნებინ ის ერთპირიანი და ორპირიანი გარდამავალი ზმნები, რომელთაც შეუძლიათ ირიბი ობიექტის დართვა და შესაბამისი

ოპოზიციური ადრესატული უღლების რიგების წარმოება. საბოლოო ჯამში ბასკური ზმნის კლასიფიკაცია ადრესატობის კატეგორიის მიხედვით ასეთი იქნება:



როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის ფორმები ადრესატობის კატეგორიის მხრივ არანაირ სხვაობას არ გვიჩვენებენ. რაც შეეხება სხვაობას დადებით და შუალედურ ადრესატულ ფორმათა შორის, უნდა ითქვას, რომ მართალია, სინქრონულ დონეზე არსებითი სხვაობა არ აღინიშნება, მაგრამ ის თავისებურებები, რომელიც საერთოდ ახასიათებს ბასკური ზმნის ადრესატობის კატეგორიას, ძირითადად დადებითი ზმნების წილად მოდის.⁵

ორიოდე სიტყვით შევეხებით ზემოხსენებულ კატეგორიათა რეფერენციალურ დონეს. ორივე კატეგორიას აქვს ერთმორფემული ან ორმორფემული მარკირება. ორმორფემული მარკირების შემთხვევაში, ერთი მორფემა უშუალოდ კატეგორიის მარ-

⁵ კატეგორიის რეფლექსური მარკირების დიაქრონული საკითხი და მისი განვითარების სამი ეტაპი – 1. პრეფიქსალური, 2. ცირკუმფიქსალური, 3. სუფიქსალური კატეგორიის ორმორფემული მარკირების პირველადობა მესამე პირში და ა.შ.

კერია, ხოლო მეორე — ადრესატის პირისა და რიცხვის გამოხატველი მორფემა, რომელიც აზუსტებს დანიშნულებით მიმართულებას. ერთმორფეშული მარკირებისას ბასკურ ზმნაში მხოლოდ ირიბი ობიექტის, ანუ ადრესატის პირი და რიცხვი აისახება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრესატის პირისა და რიცხვის მარკირება ბასკურ ზმნაში ყოველთვის ერთმორფეშულია:

I პ. მხ. რ. — t

I პ. მრ. რ. — gu

II პ. მხ. რ. — k/n⁶

II პ. ზრდილობიანი ფორმა — zu

III პ. მხ. რ. — 0

II პ. მრ. რ. — zue

III პ. მრ. რ. — ee

Частое обращение к параллелизму писателю дает возможность акцентировать эмоцию, чувства, психологический настрой героя – лирическую возвышенность или взволнованность-напряжение, угрыzenie совести и т. д. К примеру: «Грянули. И славно грянули. Клетчатый, действительно, понимал все дело. Допели первый куплет. Тут регент извинился, сказал:» «Я на минутку!» – и... исчез...» (562).

К несобственно-прямой речи М. Булгаков прибегает при передаче воспоминаний персонажа, при представлении той или иной картины или когда один персонаж в мыслях говорит с другим и т. п. К примеру: «Да, это было сложно, очень сложно, но сложности эти нужно было во что бы то ни стало преодолеть. Опытный Максимилиан Андреевич знал, что для этого первым и неперменным шагом должен быть следующий шаг, нужно во что бы то ни стало, хотя бы временно, прописаться в трех комнатах покойного племянника» (566).

С целью заострения внимания читателя или усиления выразительности речи М. Булгаков часто прибегает к риторическим вопросам и обращениям: «Почему я сижу, как сова, под стеной одна? Почему я выключена из жизни?» (591), «За мной, читатель! кто сказал тебе, что нет на свете настоящей, верной, вечной любви? Да отрежут лгуну его гнусный язык!» (585).

Из актуализированных синтаксических единиц обращают на себя внимание т. н. вставные конструкции. Они использованы писателем наряду со словами или предложениями не связанными с контекстом.

Вставные конструкции в романе М. Булгакова выполняют различные функции. С ее помощью писатель:

а) уточняет время действия: «Машина заехала за Желдыбиным и, первым долгом, вместе со следствием, отвезла его (около полуночи это было) на квартиру убитого... » (431, см. также-702).

б) конкретизирует содержание отдельных слов или комментирует их: «Всякий, входящий в Грибоедова... знакомился... с групповыми, а также индивидуальными фотографиями членов

МАССОЛИТА, коими (фотографиями) были увешены стены лестницы...» (427, см. также – 428, 514).

в) характеризует действия персонажа или факта с чужих слов: «Вчера Степа» («как сумасшедший», по выражению Римского) прибежал к финдиректору с написанным уже черновиком договора...» (475, см. также – 561, 453).

г) рассуждает по поводу: «Лиходеев не улетал (такая штука не под силу даже Коровьеву) и телеграмм оттуда не посылал» (754, см. также – 561, 516).

д) передает психологическое состояние персонажей: «Вы порядочно постарели от горя за последние полгода. (Маргарита вспыхнула, но ничего не ответила, а Азazelло продолжал.) Сегодня вечером, ровно в половину десятого, потрудитесь, раздевшись донага, натереть этую мазью лицо и все тело» (597, см. также – 451, 467).

е) уточняет факты: «Правда, он был выбрит впервые, считая с той осенней ночи (в клинике бородку ему подстригли машинкой)» (730, см. также – 700, 465).

Не часто, но в некоторых главах романа М. Булгаков все же нарушает грамматические связи между членами предложения. Созданием такой эллиптической структуры, автор увеличивает экспрессивность речи.

Эллиптические конструкции М. Булгаков создает по общеязыковому принципу – выражая мысль намеками (опущенными словами), но читателю нетрудно угадать их возможное значение. Эллиптические конструкции отрезкам романа придают динамичность, их применением возрастает также степень выразительности.

Таким образом, исследуя синтаксический уровень романа, касаясь вопроса об отношении предложения к отражаемой им действительности, что дает основание особо рассмотреть содержательную сторону предложения – структуру информации. Именно последней и обуславливается все многообразие синтаксических актуализаторов, представленных в произведении.

1. Грамматика русского языка. Изд. АН СССР, т. II, часть 2, М., 1954.
2. Кухаренко В. А. Интерпретация текста. М., 1988.
3. Распопов И. П. Восклицательные предложения в современном русском языке. Русский язык в национальной школе. М., 1960, № 6.
4. Шмелев Д. Н. Русский язык в его функциональных разновидностях. М., 1977.

ანბა ქურდოვანიძე

ა. ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტა“
სინტაქსი

რეზიუმე

მიხეილ ბულგაკოვის რომანის სინტაქსს, რომელშიც ყველაზე ნათლად აისახება მწერლური ინდივიდუალობა, აყალიბებს მრავალი კომპონენტი, მათ შორის, მოკლე და საშუალო ზომის წინადადებების მონაცვლეობა თხრობაში, მათი სემანტიკური სისავსე, რიტმი, ტონი, ინტონაცია, წინადადებებში ემოციური ნიუანსების ხშირი ცვლა, უხვად გამოყენებული სხვადასხვა სტილისტური ფიგურა და ხერხი, მსუბუქი და გამომსახველი დიალოგური პეტყველება და სხვ. მკითხველზე განსაკუთრებული ძალით ზემოქმედებს არა მხოლოდ ამბავი მწერლისეული ინტერპრეტაციით, არამედ თხრობის დაძაბული, ექსპრესიული მანერა.

ANN KURDOVANIDZE

THE SYNTAX OF THE NOVEL "MASTER AND MARGARET"
BY M. BULGAKOV
Summary

The syntax of Bulgakov's novel, that reveals author's individuality most clearly, is formed by many components, among them are the interchange of the middle sentences in narration their semantic



completeness, rhythm, tone, intonation, the frequent interchange of the emotional nuances, a number of different figures and manners of expressing, light and expressive dialogic speech etc. With the particular strength influences on the reader not only the story in author's interpretation, but the strained, expressive manner of narration.

რუსულან ენუქიძე

პროცესუალობა როგორც ტექსტობრივი კატეგორია და მხატვრული ტექსტი

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჯერჯერობით არაა შექმნილი ტექსტის სრულყოფილი კონცეპტუალური მოდელი, ამ ენათმეცნიერული დისციპლინის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ტექსტთა ტიპების კლასიფიკაცია, მათი დისტინქციური ნიშნების გამოყოფა-დადგენა. ტექსტთა ტიპოლოგიზაცია და ტექსტთა კატეგორიალური სისტემის შემუშავება ორი ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთგანმპირობებელი მიდგომაა ერთი და იმავე საკვლევე ობიექტისადმი: ტექსტის ტიპის გამოყოფა ყოველთვის და უცილობლად გულისხმობს საკუთრივ მისი მახასიათებლის დადგენას და, პირიქით, ამა თუ იმ ტექსტის რელევანტური ნიშნის გამოყოფას მიუყვართ ტექსტის ტიპის დადგენის შესაძლებლობამდე. მიუხედავად, ამ ორი მიდგომის ურთიერთგანპირობებულობისა, უდავოა, რომ ყოველგვარი კლასიფიკაციისა თუ ტიპოლოგიის საფუძველი არის უკვე დადგენილი ნიშნის გათვალისწინება, მათგან რელევანტური მახასიათებლების გამოყოფა და მათ საფუძველზე ტექსტთა ტიპოლოგიის შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის თეორიას გლობალური თეორიის სტატუსი ჯერ არ მიუღია (5,133), უკვე არსებობს ტექსტის მაინტერპრეტირებელ კონცეფციათა ისეთი სიმრავლე, რომ შესაძლებელი გახდა მათი კლასიფიკაცია ტექსტის ამა თუ იმ ასპექტის რელევანტურ ნიშნად აღიარების საფუძველზე (14, 11):



1. კონცეფციები, რომლებშიაც წამყვან ასპექტად ითვლება სტრატეგიული ასპექტი;
2. კონცეფციები, რომლებშიაც პირველ პლანზე წამოწეულია ტექსტის დინამიკური ასპექტი – პროცესუალობა;
3. კონცეფციები, რომლებიც ახდენენ მაკაუზირებელი საწყისის, ე. ი. ტექსტის წყაროს – ინდივიდის სამეტყველო მოქმედების აქცენტირებას.
4. სტრატეგიკაციული კონცეფციები, რომლებიც ტექსტს განიხილავენ როგორც ენობრივი სისტემის ერთ-ერთ (უმაღლეს) დონეს.

ზემოთ დასახელებული კონცეფციებიდან პირველი და მეოთხე ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების ადრეული პერიოდის (70-იანი წლების) პრობლემატიკის სფეროს განეკუთვნება. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ერთეულების დადგენა-ანალიზს, რომლებიც ხასიათდებიან წინადადებაზე მეტი გავრცობით (მოცულობით). თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ იფარგლებოდა ტექსტის ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების ანალიზით; მათ ყურადღებას ტექსტის კომუნიკაციურ-პრაგმატული მახასიათებლებიც ექცეოდა (12). გერმანულ, პოლონულ და ჩეხ მკვლევრებზე ადრე (50-იან წლებში) საბჭოთა ლინგვისტები დაინტერესდნენ სამეტყველო სტილების (და, შესაბამისად, ტექსტების) ფუნქციონალური თავისებურებებით (15, 5-16). უთუოდ ტექსტის უზოგადესი მახასიათებლის („Text is language in use“ –M. Halliday. 9,9) გამოყოფამ განაპირობა იმ კონცეფციათა ჩამოყალიბება, რომლებშიაც ტექსტის პროცესუალობა და შესაბამისი სამეტყველო მოქმედება ტექსტის რელევანტურ ასპექტებადაა მიჩნეული. ზ. ტურაევის მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილი კონცეფციები, რომლებიც ხაზს უსვამენ ტექსტის პროცესუალობას, და კომუნიკაციურობას, შეიძლება ითქვას, ერთი თეზისის – „ტექსტი არის ენა მოქმედებაში“ – ორი მხარეა. უფრო ზუსტად, ტექსტის ასეთი, დინამიკური გაგება საკვლევი ობიექტისადმი მიდგომის ორ ურთიერთგანმსაზღვრელ ასპექტს გულისხმობს – ტექსტის პროცესუალობას და ტექსტის კომუნიკაციურობას. ეს ორი ასპექტი, მიუხედავად მათი

სტრუქტურულ-სემანტიკური და პრაგმატული პარამეტრების განსხვავებულობისა, ენობრივი ფუნქციონირების საფუძველია, მისი არსებობის განმსაზღვრელი. ეს ორი ასპექტი ტექსტის ძირითადი დისტინქციური, სხვა ენობრივი ერთეულებისაგან მისი განმასხვავებელი ნიშანია. თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა კომუნიკაციურად ორიენტირებულადაა მიჩნეული, რაც მისი ფუნქციონალური ასპექტის წინ წამოწევაში მდგომარეობს; თუმცა ეს ფაქტი არ გამორიცხავს ტექსტის სხვა ასპექტების (იქნება ეს ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, საკუთრივ ლინგვისტური თუ ფსიქოლოგიური) რელევანტურად მიჩნევას.

ტექსტისადმი კომუნიკაციური მიდგომა (პროპოზიციულის საპირისპიროდ, რომელიც ტექსტს განიხილავს სტატიკურად, ანალიზებს სინტაქსს და მაკროსტრუქტურებს) ტექსტს განიხილავს როგორც „единство, которое конституируется расчлененной во времени последовательностью речевых действий“ (12, 314) და აფუძნებს არა მარტო ტექსტის ფუნქციონალურ სტატუსს, არამედ მისი არსებობის ფორმასაც – პროცესუალობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ხშირად გაისმის საყვედური კომუნიკატურობის იმ მკვლევართა მიმართ, რომლებიც „процессуально-динамическую сторону коммуникативного общения... считают своеобразной ничейной территорией, которая и должна стать предметом будущей общей теории коммуникации“ (13, 10).

ზ. ტურაევა თვლის, რომ ტექსტის პროცესუალობა ორგვარად გაიგება: ერთი მხრივ, როგორც ადამიანის სამეტყველო უნარის რეალიზაცია და, მეორე მხრივ, როგორც მეტყველებაში ენის ფუნქციონირების უნარი (14, 13). ამ მოსაზრებას დაეუმატებთ იმას, რომ პროცესუალობა მიგვაჩნია ტექსტის არსებობის ფორმად და ამდენად, იმ უზოგადეს, ყოვლისმომცველ ასპექტად, რომლის ჭრილში გატარებისა და მასთან მიმართების დადგენის გარეშე, არც ერთი ტექსტობრივი კვლევა არ იქნება ადეკვატური. აქვე შევნიშნავთ, რომ „ტექსტის პროპორციულობის“ და „ტექსტის დინამიზმის“ სინონიმებად გამოყენება არ მიგვაჩნია გამართლებულად; თუმცა „პროცესუალობაც“ და „დინამიკაც“ განვითარების მსვლელობას, მოძრაობის მდგომარეობას

აღნიშნავს, მათ შორის განსხვავება საერთოდ და ტექსტთან მიმართებაშიც არსებითად მიგვაჩნია: „დინამიკა“ ერთი რომელიმე ტექსტობრივი კატეგორიის აქტუალიზაციას გულისხმობს; „პროცესუალობა“ – პროპოზიციათა (მდგომარეობათა, სიტუაციათა, ხდომილებათა) თანმიმდევრული შეცვლა, ტექსტში ასახული სინამდვილის გაშლა-განვითარების სტადიათა მჭიდრო კავშირია მათ უწყვეტ დინებაში. „პროცესუალობა“ ტექსტთან მიმართებაში კომუნიკაციურ სიტუაციას ითვალისწინებს, უფრო ზუსტად, პრაგმატულ-ინტენციურ მიზანდასახულებას, რომელიც ადრესანტის (ინფორმაციის გამგზავნის) და ადრესატის (რეციპიენტის) არსებობას გულისხმობს. თუ პროცესუალობას ტექსტის კატეგორიალურ სისტემასთან მიმართებაში განვიხილავთ, მაშინ უნდა ვიძხველოთ ტექსტის პროცესუალობაზე, როგორც მისი (ტექსტის) არსებობის ფორმაზე და ცალკეულ კატეგორიათა დინამიზმზე (ამით ხაზს უსვამთ იმ გარემოებასაც, რომ ყოველი ტექსტობრივი კატეგორიის ადეკვატური ანალიზი მხოლოდ ამ კატეგორიის დინამიკაში კვლევითაა შესაძლებელი). მაშასადამე, ტექსტის პროცესუალობა არის ჯამი (ცხადია, არამექანიკური, არასუმატური) ცალკეულ ტექსტობრივ კატეგორიათა აქტუალიზაციისა და ინფორმაციის გამგზავნისა და რეციპიენტის ურთიერთმიმართებისა.

პროცესუალობა, როგორც აღვნიშნეთ, უნივერსალური ნიშანია ყველა სახის სამეტყველო სტილისათვის, ე. ი. ყველა სახის კომუნიკაციისათვის, ყველა სახის ტექსტისათვის. მაგრამ, უნივერსალურ მახასიათებლებთან ერთად, პროცესუალობას სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის შემთხვევაში განმასხვავებელი ნიშნებიც უნდა ჰქონდეს. ტექსტების პრაგმატულ-ფუნქციონალური ინტენციის (შეტყობინება, ზემოქმედება. 15,7) მიხედვით დაყოფისას საკომუნიკაციო სფერო (სამეტყველო სტილები) ორ ძირითად ჯგუფად გაიყო: მხატვრულად და არამხატვრულად. არამხატვრულ ტექსტებს ახასიათებთ „стремление к однозначности, к минимуму интерпретаций“, მხატვრულ ტექსტებს – „стремление к многозначности, к увеличению интерпретаций, к множеству ассоциаций“ (10,12. 7,90). მაგრამ მხატვრულობა—არამხატვრუ-



ლობას შორის ზემოთ აღნიშნული მრავალმნიშვნელოვანობა-ერთ-მნიშვნელოვანობის გარდა, პროცესუალობის განსხვავებული ხასიათითაც შეიძლება მათ შორის არსებითი განსხვავების დადგენა. ვფიქრობთ, რომ მხატვრულ ტექსტს ახასიათებს რეპრეზენტულობაზე დაფუძნებული (ანუ მისგან გამომდინარე) ასოციაციური პროცესუალობა, არამხატვრულ ტექსტს კი მხოლოდ – რეპრეზენტული პროცესუალობა. ტერმინთა წყვილი „რეპრეზენტულობა-ასოციაციურობა“ ი. ბ. როდნიანსკაიასაგან ვისესხეთ, მაგრამ განსხვავებულ შინაარსს ვღებთ მათში; ი. როდნიანსკაიას აზრით, რეპრეზენტულობისაკენ ისწრაფვის მხატვრული ხატი სახვით ხელოვნებაში, ასოციაციურისაკენ – გამომსახველობითში: „Внутреннее строение художественного образа существенно различается в разных видах искусства – в зависимости от материала (словесный, звуковой, пластический, пантомимический образ), пространственно-временной характеристики (статический, динамический) и др. Это структурное многообразие можно с известным огрублением свести к двум исходным началам – принципу репрезентативного отбора и принципу ассоциативного сопряжения. К первому тяготеет художественный образ в изобразительных искусствах (реконструкция предмета с упором на одни его признаки и исключением других), а ко второму – художественный образ в выразительных искусствах (иносказание в поэзии, контрапункт в музыке)“ (11,761). მიმაჩნია, რომ „რეპრეზენტული შერჩევა“ ხელოვნების ნებისმიერი დარგის ნებისმიერი გამოვლენის პრაგმატული წინაპირობაა, ამ შერჩევის შედეგად გახსნილი მატერიალური დონე (მხატვრულ ტექსტში – ვერბალური), რომელიც წარმოადგენს საშუალებას აზრობრივ ასპექტთა ასოციაციური „შეკავშირებისა“ და მათი წვდომის მისაღწევად. მხატვრული ხატის შექმნა რეპრეზენტული დონის მიღმა, სუპერვერბალურ დონეზე ხდება, რეპრეზენტულ და ასოციაციურ დონეთა ისეთი სინთეზის საშუალებით, რომლის ფარგლებში წამყვან როლს ასრულებს ასოციაციური დონე, სადაც ინტერპრეტაციათა სიმრავლეა შესაძლებელი. მაგრამ „რეპრეზენტულობა“, როგორც კომუნიკაციის აუცილებელი პირობა, ვერბა-

ლურ დონეზე და მასზე (რეპრეზენტატულობაზე) დაფუძნებული „ასოციაციურობა“ სუპერვერბალურ დონეზე, პროცესუალობასთან არიან მჭიდროდ დაკავშირებული, რადგან ადრესანტსა და ადრესატს შორის დიალოგური მიმართებით იქმნებიან. დიალოგურობა კი, იმის მიხედვით, თუ რომელ ფუნქციონალურ სტილს განეკუთვნება, ორ სახეს გვაძლევს ინტერპრეტაციის, ანუ პრაგმატულ-კომუნიკაციური მიზანდასახულების მიხედვით: დიალოგი, რომელიც ერთმნიშვნელოვან გაგებაზეა აგებული, (არამხატვრული, მხოლოდ რეპრეზენტული) – ამის გამო ზოგჯერ ასეთ კომუნიკაციას მონოლოგურს უწოდებენ (1,818), და დიალოგი, რომელიც გაგების მრავალმნიშვნელოვანობას უშვებს და თხოულობს კიდევ (მხატვრული, უპირატესად ასოციაციური). მხატვრული ტექსტი „неспредельно открыт, он «раскрыт в бесконечности». Мы стараемся обнаружить пути формирования смысла и не ставим перед собой задачи найти единственный смысл“ (3,308). (ინტერპრეტაციის ამ სახისაკენ – „ერთადერთი მნიშვნელობის, დედაარსის“ დადგენისაკენ, რ. ბარტის აზრით, ისწრაფოდა მარქსისტული და ფსიქოანალიტიკური კრიტიკა). და აი ეს „მნიშვნელობის ფორმირების გზები“ (და არა „ფორმირების შედეგი“ – რაც არ ექვემდებარება ფორმალიზაციას) – მხატვრული ხატის პროცესუალური არსებობაა. მხატვრული ხატის, როგორც პროცესის კვლევა, მისი პროცესუალობის გახსნით, ცალკეულ კატეგორიათა დინამიკურობის ელემენტების ანალიზით უნდა მოხდეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რეპრეზენტული პროცესუალობა უპირატესად არამხატვრული კომუნიკაციისათვის (ტექსტისათვის) არის დამახასიათებელი, ხოლო რეპრეზენტულზე დაფუძნებული ასოციაციური პროცესუალობა – მხატვრული კომუნიკაციისათვის (ტექსტისათვის). ამ ორი ნიშნის მიხედვით ვახდენთ მხატვრული და არამხატვრული ტექსტისათვის რელევანტური და განმსაზღვრელი კატეგორიების გამოყოფას. არამხატვრულ მეტყველებაში რეპრეზენტული პროცესუალობა კოჰერენტულობას ექვემდებარება, მხატვრულში კი – ასოციაციური პროცესუალობა

იქვემდებარებს კოპერენტულობას, რადგან ხატოვანება კონსტრუირდება ასოციაციური პროცესუალობის მეშვეობით.

კოპერენტულობა და პროცესუალობა უნივერსალურ ტექსტობრივ კატეგორიებს განეკუთვნება, მაგრამ ავტორთა უმრავლესობა კოპერენტულობას¹ მიიჩნევს ტექსტის წამყვან, ყველაზე არსებით კატეგორიად, რადგან ეს კატეგორია აერთიანებს ტექსტში როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ მიმართებებს, კავშირებს. ო. ი. მოსკალსკაია თვლის, რომ „конкретность текста... проявляется одновременно в виде структурной, смысловой и коммуникативной целостности, которые соотносятся между собой как форма, содержание и функция“ (8,17). ე. ი. შენდელსი გამოყოფს სამ ფუნქციას, რომელსაც ასრულებს კოპერენტულობა ტექსტში: „1) обеспечивает смысловую связь между частями текста; 2) подготавливает адресата к последующей информации, ведет его по пути познания текста; 3) укрепляет „текстовую память“, возвращая адресата к предыдущему, напоминая ему о сказанном, обращаясь к его знаниям мира“ (16,87). ცხადია, კოპერენტულობა ყველა ტიპის ტექსტის (ყველა ტიპის კომუნიკაციის) არსებითი საფუძველია, მაგრამ მხატვრული ტექსტის შემთხვევაში იგი ექვემდებარება პროცესუალობას, როგორც მხატვრული ხატის შექმნის საშუალებას, მხატვრული ხატის არსებობის ფორმას. პროცესუალობა ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში განისაზღვრება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, როგორც ადამიანის სამეტყველო უნარის რეალიზაცია და, მეორე მხრივ, როგორც მეტყველებაში ენის ფუნ-

¹ „კოპერენტულობა“ და „კოგეზია“, როგორც შიდატექსტობრივი კავშირების აღმნიშვნელი ტერმინები, ხშირად სინონიმებადაა მიჩნეული, თუმცა ზოგიერთი შეკვლევარი უპირატესობას ანიჭებს „კოგეზიას“ (ი. გალპერინი, ქელიდეი და ქასანი, ზ. ტურაევა), სხვები – „კოპერენტულობას“ (ო. მოსკალსკაია, ე. ფლეიშერი). ნ. ენკისტი მათ შორის განსხვავებას ადგენს ფაქტუალური კავშირის (კოგეზია) და თანმიმდევრულობის (კოპერენტულობა) მიხედვით. რ. ბოგრანდი და ე. დრესლერი „კოგეზია-კოპერენტულობაში“ არსებით განსხვავებას ხედავენ: კოგეზიას ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურასთან მიმართებაში განიხილავენ, კოპერენტულობას – სიღრმისეულთან (16,68).

ქციონირების უნარი. ჩვენ სხვა კუთხით ვუდგებით პროცესუალობის, როგორც ტექსტობრივი კატეგორიის არსს: ზემოთქმულს (პროცესუალობა მიგვაჩნია ტექსტის არსებობის ფორმად) დავემატებთ, რომ პროცესუალობა მხატვრული ტექსტის არსებით და წამყვან კატეგორიად მიგვაჩნია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროცესუალობა თვით მხატვრული ხატის არსებობის ფორმაა.

მხატვრული ხატის კონსტრუირება ავტორისა და ადრესატის დიალოგის მეშვეობით ხდება და ამდენად იგი პროცესს წარმოადგენს: „Если в качестве «организма» художественный образ автономен и в качестве идеального предмета объективен, то в качестве допущения он субъективен, а в качестве знака – межсубъективен, коммуникативен, реализуем в ходе диалога между автором и адресатом и в этом отношении является не предметом и не мыслью, а процессом“ (11,761). ამ განსაზღვრებაში ხაზი აქვს გასმული მხატვრული ტექსტის დიალოგური არსებობის ფორმას და ამდენად, მის პროცესუალობას. ვფიქრობთ, რომ ამ დეფინიციას ასოციაციურობის ან, უფრო ზუსტად, ასოციაციური პროცესუალობის ჩართვა უფრო მეტ სიზუსტეს შესძენდა, რადგან არამხატვრული კომუნიკაცია პროცესუალობაზეა დაფუძნებული, მხოლოდ რეპრეზენტულზე. რა თქმა უნდა, ამ პრობლემაზე ვმსჯელობთ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მხატვრულობა (ხატოვანება) ესთეტიკის სფეროა, მაგრამ მისი (მხატვრულობის) აქტუალიზაცია პროცესუალობის, როგორც წამყვანი და ყოვლისმომცველი ტექსტობრივი კატეგორიის, საშუალებით ხდება. ხატოვანება ესთეტიკური კატეგორიაა, პროცესუალობის საფუძველი კი ენობრივია, ტექსტუალური. სწორედ მათი შეხვედრის წერტილში ფუძნდება პროცესუალობის წამყვანი სტატუსი და ხატის პროცესუალობა.

კოპერენტულობისა და პროცესუალობის ურთიერთმიმართება, ჩემი აზრით, ასეც შეიძლება გავიგოთ: კოპერენტულობის რეალიზაცია ტექსტში ძირითადად კონტინუუმის საშუალებით ხდება, ე. ი. ამ შემთხვევაში რელევანტურია ტექსტის ერთი სემანტიკურიდან მეორეში (მის მომდევნოში) გარდამავალი უცვლელი ელემენტების თანმიმდევრობა (ცხადია, ცვლადი ელემენტების თანმიმ-

დეკრობის ფონზე); პროცესუალობა კი აქტუალიზირებულია როგორც დინამიკით (რომელიც რეალიზებულია ცვლადი ელემენტების თანმიმდევრობით), ისე კონტინუუმით (ე. ი. უცვლელი ელემენტების გათვალისწინებით). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროცესუალობაც და კოპერენტულობაც ერთგვაროვან კატეგორიებზეა დაფუძნებული (თხრობის დინამიკა და კონტინუმი), მაგრამ პროცესუალობის კვლევის დროს რელევანტურია დინამიზმი, კოპერენტულობის დროს კი — კონტინუმი. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დგინდება ტექსტობრივი კატეგორიების ურთიერთგანსაზღვრულობა და ურთიერთგანპირობებულობა.

მხატვრული ხატი ყალიბდება თანდათანობით, პროცესუალურად, რეპრეზენტულ (ვერბალურ) დონეზე ინფორმაციის დაგროვებით შექმნილი ასოციაციებით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ არ იძლევა არამხატვრული ინფორმაციის დაგროვება ხატს? არამხატვრულ ტექსტში ინფორმაცია, რეპრეზენტულ დონეზე მოცემული, არ საჭიროებს რეციპიენტის მიერ ასოციაციურ ინტერპრეტაციას. არამხატვრული კომუნიკაცია ერთმნიშვნელოვანობისაკენ ისწრაფვის, თითქმის ან სრულიად გამორიცხავს ინტერპრეტაციათა სიმრავლეს ვერბალური დონის მიღმა. ამის საფუძველი ტექსტის კოპერენტულობაა, რომელიც ასოციაციათა რაოდენობას ამცირებს ან სავსებით გამორიცხავს. არამხატვრული ტექსტი ყოველთვის გამიზნულია გარკვეულ რეციპიენტზე (ადრესატზე), რომელიც ადეკვატურად აღიქვამს ტექსტს. თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ არამხატვრული ტექსტის ცნებას და ავიღებთ სამეცნიერო ტექსტს (ზუსტ მეცნიერებათა სფეროდან), მაშინ მას შეიძლება ვუწოდოთ „ცოდნის მონოლოგური ფორმა (ინტელექტი ჭკრეტს საგანს და აზრს გამოთქვამს მის შესახებ)“ (1, 828). ვფიქრობთ, რომ „ცოდნის მონოლოგური ფორმა“ ის სფეროა, რომელსაც ტექსტის თეორიის მიხედვით „შეტყობინების“ ფუნქცია აკისრია (მხატვრული დიალოგური ფორმის „ზემოქმედების“ ფუნქციის საპირისპიროდ) და რომელშიც ადრესატის მონაწილეობა მინიმუმამდეა დაყვანილი. როგორც აღვნიშნეთ, მხატვრული კომუნიკაცია, ანუ მხატვრული ტექსტი, მისი რეპრეზენტული

(ვერბალური) დონე უშვებს ასოციაციათა ნაირგვარობას, ინტერპრეტაციათა მრავალმნიშვნელობას, ადრესატის მონაწილეობას ხატის ფორმირებაში. ასოციაციური ინტერპრეტაცია ხატის ფორმირების პროცესში მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: ავტორისეული ჩანაფიქრის შესაბამისი ვერბალური განხორციელებიდან ადრესატის კულტურულ და ფსიქოლოგიურ დონემდე (7,12), ე. წ. მკითხველის თეზაურუსზე (14,14).

ხატი იქმნება ასოციაციურ დინამიკაში. თხრობითი დინამიკაში წარმოშობს ასოციაციურ პროცესუალობას, რომლის საშუალებითაც ხდება ხატის აგება. მხატვრული განზოგადების ასოციაციური პრინციპი სიმბოლურობაზეა დაფუძნებული; სიმბოლურობის ელემენტები კი სწორედ რეპრეზენტულ დონესთანაა (მხატვრულ ტექსტში – ვერბალურ დონესთან) მჭიდრო კავშირში. სიმბოლოს ელემენტებიდან საკუთრივ სიმბოლომდე მისვლა წარმოგვიდგება როგორც პროცესი, როგორც „დინამიკური ტენდენცია“ (2,607), როგორც დიალოგი, რომლის საშუალებითაც ხდება სიმბოლოს შექმნა და მისი წვდომა მეტ-ნაკლები ადეკვატურობით ინტერპრეტატორის მხრიდან. მაგრამ, სიმბოლოს შექმნა-წვდომა არ ნიშნავს მის დაყვანას ერთმნიშვნელოვან ლოგიკურ ფორმულაზე, რადგან „символ является... не просто знаком тех или иных предметов, но он включает в себе обобщенный принцип дальнейшего развертывания (ხაზი ჩეზია – რ. ე.) свернутого в нем смыслового содержания“ (6,10). „სიმბოლურ შეჭიდულებათა“ (2,607) მონაცვლეობა, მათი კუმულაციური დინამიკა ქმნის პროცესუალობას. ამ „შეჭიდულებათა“ არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული პროცესუალობის კონტინუალურ ხასიათს.

ყოველივე ზემოთქმული ეხებოდა მხატვრული ხატის, მისი ასოციაციური ინტერპრეტაციის დიალოგურ, სიმბოლურ ხასიათს. მხატვრულ ტექსტში ამ სამივე ნიშნის (დიალოგურობა, სიმბოლურობა, ასოციაციურობა) ურთიერთმიმართების და ურთიერთგანპირობებულობის ახსნა შეიძლება იმ საერთო, ზოგადი ნიშნითაც, რომელიც მათ ახასიათებთ – ეს მათი საფუძველი, მათი არსებობის ფორმა – პროცესუალობა. კიდევ ერთი რე-

ლევანტური ნიშანი მხატვრული ხატისა, მისი ონტოლოგიური მახასიათებელი არის ის, რომ ხატის დიალოგურობა, სიმბოლურობა იდეალური ყოფიერების გამოვლენაა და ფორმალიზაციას არ ექვემდებარება. ფორმალიზაციას უნდა დაუკვემდებაროთ „ტექსტის აღწერა“ (1, 826). ე. ი. მატერიალური საფუძველი, უფრო ზუსტად, მატერიალური საფუძვლის ის ასპექტი, რომელიც გვევლინება როგორც რეპრეზენტულობის, ისე ასოციაციურობის საერთო ნიშნად. ასეთი ნიშანი – პროცესულობაა.

მხატვრული ტექსტის პროცესულობის კვლევა ორი ზაზით უნდა წარიმართოს: ა) ვერბალური დონის იმ ელემენტების კვლევით, რომლებიც რეპრეზენტულ დინამიკას ქმნიან და, ბ) სუპერვერბალურ დონეზე შესაბამისი ასოციაციური ელემენტების კვლევით, რომელთა თანმიმდევრული მონაცვლეობა ასოციაციურ დინამიკას ქმნის. კვლევა-განზოგადება ცალკეული ელემენტებისა, რომლებიც თხრობით დინამიკას ქმნიან ვერბალურ დონეზე და ასოციაციურს (თემებისა და მიკროთემების სახით) სუპერვერბალურზე, პროცესულობის პრობლემის ლინგვისტურ ასპექტს წარმოადგენს. ზოგადობის ხარისხის მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტექსტობრივი დინამიკის დისკრეტული ელემენტების პროეცირება მოვახდინოთ ძირითად ლინგვისტურ აბსტრაქციათა სისტემაში და ამით თხრობითი დინამიზმის კვლევის სფეროს მცირეოდენი რამ შევმატოთ.

ლიტერატურა

1. Аверинцев С. С. Символ. Краткая литературная энциклопедия. М., 1975.
2. Аверинцев С. С. Символ. Философский энциклопедич. словарь. М., 1983.
3. Барт Р. Текстовый анализ. В: Новое в зарубежной лингвистике. Вып. 9. 1980.
4. Виноградов В. В. Стилистика, Теория поэтической речи, поэтика. М., 1963.

5. Золотова Г. А. Роль ремы в организации и типологии текста. В: Синтаксис текста. М., 1979.
6. Лосев А. Ф. Символ. Философская энциклопедия. Т. 5. М., 1970.
7. Лотман Ю. Структура художественного текста. М., 1970.
8. Москальская О. И. Грамматика текста. М., 1981.
9. Новое в зарубежной лингвистике. Вып. 8. М., 1978.
10. Пробст М. А. Текст в системах коммуникации. В: Проблемы структурной лингвистики. М., 1981.
11. Роднянская И. Б. Художественный образ. Философский энциклопедический словарь. М., 1983.
12. Синтаксис текста. М., 1979.
13. Сусов И. П. Языковое общение и лингвистика. В: Прагматические и семантические аспекты синтаксиса. Калинин, 1985.
14. Тураева З. Я. Лингвистика текста. М., 1986.
15. Чаковская М. С. Текст как сообщение и воздействие. М., 1986.
16. Шендельс Е. И. Роль когерентности в грамматике текста. В: Язык как коммуникативная деятельность человека. Сборник научных трудов МГПИИЯ им. М. Тореца. Вып. 284. М., 1987.

Р. И. ЕНУКИДZE

ПРОЦЕССУАЛЬНОСТЬ КАК ТЕКСТОВАЯ КАТЕГОРИЯ И ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ТЕКСТ

Резюме

В лингвистической литературе процессуальность трактуется как реализация речевой способности человека и как свойство языка функционирования в речи. В предлагаемой работе процессуальность рассматривается как средство существования текста и поэтому является тем наиболее общим аспектом, который представляет собой сумму (немеханическую, разумеется) динамической актуализации отдельных категорий и взаимодействия адресанта и реципиента в коммуникативной ситуации.



Установление различий между художественным и нехудожественным текстами (т. е. речевыми стилями) возможно и по своеобразному характеру процессуальности. Предполагается, что в художественном тексте релевантным является ассоциативная процессуальность, в нехудожественном – репрезентативная процессуальность, учитывая тот факт, что репрезентативный отбор является предшествующим прагматическим условием любого текста.

В нехудожественном тексте информация, реализованная на репрезентативном уровне, не требует дальнейших интерпретаций и исключает множество ассоциаций за пределами вербального уровня; поэтому, сущностной категорией нехудожественного текста является когерентность. Художественная информация допускает (точнее, требует) разнообразие ассоциаций, многозначность интерпретаций. Художественный образ формируется посредством ассоциативной процессуальности. Конструирование художественного образа происходит таким синтезом репрезентативного и ассоциативного уровней, в пределах которого ведущую роль играет ассоциативный уровень. Исследование художественного образа как процесса должно проводиться раскрытием процессуальности, анализом дискретных элементов разных сегментов текста.

R. I. ENUKIDZE

PROCESSUALITY AS TEXTUAL CATEGORY AND FICTION

Summary

In linguistic literature processuality is being treated as realization of speech ability of man and as a feature of language functioning in speech. In the presented work processuality is considered as a means of text-existence and therefore, a most general aspect that actualizes dynamic realization of textual categories and interrelation of speaker and hearer in communicative situation.

The differences between non-fictional and fictional texts can be stated according to the distinctive character of processuality too. It is supposed that in fiction associative processuality is relevant, in non-fiction – representative processuality, taking into consideration the fact that representative selection is a pragmatic foregoing condition of every text.

In non-fictional texts information realized on the representative (verbal) level does not need further interpretations and excludes number of associations; therefore, a most essential category of non-fictional text is coherence. Fictional information allows variety of associations and interpretations. Image in fiction is formed by means of associative processuality, synthesis of representative and associative levels, the latter being leading. Investigation of fictional image as process should be carried out by disclosing of processuality, by means of analysis of discrete elements of different textual segments.

თამარ ჯავარიძე

ტიმსტის პრაგმატულ-კომუნიკაციური ასპექტის მოძველების ზოგიერთი ნიშანი კიკლინგის საყმაწვილო ზღაპრებში

XX საუკუნე ინფორმაციის უდიდესი ნაკადის საუკუნეა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ინფორმაციის თეორიამ ფართო განვითარება სწორედ ჩვენს საუკუნეში პოვა. მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, ზემოხსენებული თეორია შეისწავლის ინფორმაციის გაცემა-მიღების მექანიზმსა და საშუალებებს (მათ შორის ენობრივსაც) და კომუნიკაციის მიზნით მათი გამოყენების ხერხებს.

ცხადია, ყოველგვარი ინფორმაცია გარკვეული კოდების საშუალებით გადაიცემა, ხოლო ამ კოდების მართებული დეკოდირებით კი – ფორმდება შეტყობინება. ენათმეცნიერებას, ამ თვალსაზრისით, ენობრივ კოდებთან და ამ კოდების შემადგენელ ერთეულებთან აქვს საქმე. ამდენად, იგი უკავშირდება ინფორმაციის იმ მოცულობას, რომელსაც შეიცავს თითოეული ენობრივი ერთეული. [1] [2].

როგორც ცნობილია, ე. წ. „ნეიტრალური გამონათქვამი“ ფუნქციონალურად განსხვავდება „მზატურული გამონათქვამისაგან“. პირველის მიზანი მხოლოდ აზრობრივი, ანუ, როგორც იტყვიან, იდეურ-შინაარსობრივი ინფორმაციის გადაცემაა, მეორისა კი – ორმაგი ინფორმაციის, იდეურ-შინაარსობრივისა და ესთეტიკურის. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „მზატურულ“ და „ნეიტრალურ“ გამონათქვამებში ერთი და იგივე სასიგნალო ერ-



თულები და კოდები მანიპულირებს (მაგალითად, ენაში არსებული ბგერები და სიტყვები), მათ შორის მაინც არსებითი სხვაობაა. ეს სხვაობა ენობრივი კოდების შერჩევაში, ანუ აზრის ლინგვისტურ ორგანიზებაში მდგომარეობს. ჩვენი ინტერესი, ამ თვალსაზრისით, „მხატვრულ გამონათქვამზე“ ვრცელდება.

თანამედროვე ლინგვისტიკის შედარებით ახალი ტენდენცია ისაა, რომ ბევრი ენობრივი ფაქტი ახლებურ გაშუქებას პოვებს ინფორმაციის ზოგადი თეორიის ფონზე და მასთან მიმართებაში. ინფორმაციის თეორიის დებულებათა ტრანსპონირება ლინგვისტურ კატეგორიათა სფეროში განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა ე. წ. „მხატვრული ტექსტის დეკოდირების სტილისტიკაში“, რომლის მიზანია მკითხველზე ზემოქმედების ლინგვისტურ საშუალებათა კვლევა მხატვრული ტექსტის ჩაკეტილ სისტემაში და ამ საშუალებათა ექსპრესიული პოტენციის კონკრეტული რეალიზაციის გამოვლენა. ყოველივე ეს იმითაა განპირობებული, რომ მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედებს პრავმატულ-კომუნიკაციური ასპექტი, მკითხველზე ზემოქმედების ნიშნით აღბეჭდილი ერთეულების სისტემა, რომელიც იდეურ-შინაარსობრივი ინფორმაციის პარალელურად შეიცავს ესთეტიკურ ინფორმაციასაც.

ყოველი შეტყობინება, მეტ-ნაკლები ოდენობით, ინფორმატულია. ინფორმაცია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, არის ის სიახლე, რომელიც უკვე დაგროვილ ცოდნას კიდევ უფრო ამდიდრებს. რაც უფრო ორიგინალურია შეტყობინება, მით მეტი ინფორმაციის შემცველია იგი. ცნობილი მეცნიერი აბრაამ მოლი თავის ნაშრომში „Теория информации и эстетическое восприятие“ ასე განსაზღვრავს ვერბალური შეტყობინების (კერძოდ – ტექსტის) ინფორმატულობას: „... всякий раз, когда мы говорим об информации, содержащейся в рукописном или печатном тексте, мы подразумеваем информацию, которую извлекает средний „читатель“, читающий слова и связывающий их друг с другом в зависимости от общего запаса знаний, который мы предполагаем у людей, принадлежащих к определенной социальной группе со статистически примерно одинаковым культурным уровнем“ [3]

აქედან გამომდინარე, ვერბალური ინფორმაციის სწორი კოდირება-დეკოდირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკანტების (მხატვრული ლიტერატურის შემთხვევაში — ავტორისა და მკითხველის) ენობრივ თეზაურუსს, მათ ენობრივ მარაგს, გამოცდილებასა და ალლოს. ინფორმაციის გამცემმა (ავტორმა), საკუთარი თეზაურუსის საფუძველზე, უნდა მოახერხოს კონკრეტული ინფორმაციის სწორად კოდირება; ინფორმაციის რეციპიენტმა (მკითხველმა) კი, საკუთარი თეზაურუსის საფუძველზე, — მისი სწორად დეკოდირება. თუ ინფორმაცია თავისი მოცულობით მკითხველის თეზაურუსის საზღვრებს გადადის, ანდა თუ ავტორის თეზაურუსი საკმარისი არ აღმოჩნდა კონკრეტული ინფორმაციის სწორად კოდირებისათვის, კომუნიკაცია ან საერთოდ არ შედგება, ან — სრულყოფილი არ იქნება. მაშასადამე, თეზაურუსის უკმარისობა, კომუნიკანტების მხრივ, სერიოზულ შეფერხებას იწვევს ინფორმაციის გაცემა-მიღებისას.

კომუნიკაციის წარმატებლობა, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სუბიექტური მიზეზებით იქნებოდა გამოწვეული (მკითხველი ან ავტორის არასრულყოფილი თეზაურუსის გამო), მაგრამ წარმატებულ კომუნიკაციას ობიექტური მიზეზებიც შეიძლება დაედოს საფუძვლად. ეს გახლავთ ე. წ. „დაბრკოლებანი“ თვით საკომუნიკაციო არხში. მხატვრული ლიტერატურის შემთხვევაში ინფორმაციის გადამცემი საკომუნიკაციო არხი ვერბალურია (ტექსტია). თუკი არხში რომელიმე კოდი (სიტყვა) შეცდომით იქნა დაბეჭდილი (ასოცელილი, ასოგადანაცვლებული, მარცვალ-ნაკლული და სხვ.), იგივე ენობრივი თეზაურუსიდან გამომდინარე, მკითხველს გაუჭირდება მისი აღქმა, რაც გარკვეულ დაბრკოლებას შექმნის მთელი კონტექსტის სწორი და სრულყოფილი დეკოდირებისათვის.

ამდენად, „მხატვრული გამონათქვამის“ (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა შეტყობინების) სწორ დეკოდირებას შესაძლოა ხელი შეუშალოს გარკვეულმა სუბიექტურმა და ობიექტურმა მიზეზებმა, რომლებიც მჭიდრო კავშირშია კომუნიკანტების თეზაურუსთან.

ამ მხრივ განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ საყმაწვილო ლიტერატურის ავტორებს.

ცნობილი დებულებაა, რომ მხატვრულ ლიტერატურას არ ახასიათებს ადრესატის კონკრეტულობა ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. მას მხოლოდ პოტენციურ, აბსტრაქტულ მკითხველზე აქვს ორიენტაცია, მაგრამ პრაგმატული ორიენტაცია მკითხველზე აუცილებელი წინაპირობაა საკუთრივ საყმაწვილო ლიტერატურისათვის. მკითხველის ექსპლიკაცია, ანუ მისი ასაკობრივი ფაქტორისა და თეზაურუსის წარმოჩენა, კარნახობს მწერალს, მხატვრული თხრობის ლინგვისტური ორგანიზაციის ბევრ სპეციფიკურ ხერხს.

ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული მასალა, რადიარდ კიპლინგის ზღაპართა კრებული „Just So Stories“, კიდევ იმ ნიშნითაცაა საინტერესო, რომ იგი, თუმცა საყმაწვილო ასაკის მკითხველისთვისაა ძირითადად მოდელირებული, ერთდროულად შეიცავს პრაგმატულ ორიენტაციას მოზრდილ მკითხველზეც. მოზრდილი მკითხველი ტექსტის დეკოდირებისას განსხვავებულ ლოგიკას ეყრდნობა და იქ, სადაც ტექსტი ყმაწვილთათვის ძირითადად იდეურ-შინაარსობრივ ინფორმაციას შეიცავს, მოზრდილი ახერხებს მისი სიღრმისეული იმპლიკაციის გაშიფვრას, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, გამონათქვამის ესთეტიკური ინფორმაციის დეკოდირებას (იხეითის, როგორიცაა გამონათქვამის ირონიული შეფერილობა, იუმორი, პაროდირების ეფექტი და სხვ.).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ტექსტის ლინგვისტურ ორგანიზაციაში განსაკუთრებული ტიპის, კონტრაპუნქტულად განვითარებადი ინფორმაციის დეკოდირება და მისი გადმოცემის ზოგიერთი ხერხის გაანალიზება. ყურადღებას შევაჩერებთ ავტორის მიერ ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებებზე, რომელთაც ტექსტში მნიშვნელოვანი სტილისტური ფუნქცია აკისრიათ.

* * *

როგორც ითქვა, მხატვრულ ლიტერატურაში, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სახის ტექსტში, მუდამ მოქმედებს პრაგმატულ-კომუნიკაციური ასპექტი. საყმაწვილო ლიტერატურაში (განსაკუთრებით კი კიპლინგის ზღაპართა ამ კრებულში, რომელიც

თავდაპირველად შინაურულ ვითარებაში ითხზებოდა მისი მცირეწლოვანი შვილებისათვის) მკითხველზე პრაგმატული ორიენტაცია, პირველ რიგში, „თხრობის ინტიმიზაციის“ მექანიზმში იჩენს თავს.

საანალიზო მასალაში თხრობის ინტიმიზაციის მექანიზმზე დაკვირვებისას ჩავატარეთ მასალის ინვენტარიზაცია სტატისტიკური მეთოდით. ამის შედეგად ტექსტში ჭარბად გამოვლინდა ისეთი ერთეულები, რომლებშიც აშკარად ჩანს პრაგმატული ორიენტაცია საყმაწვილო ასაკის მკითხველის თეზაურუსზე, მის ენობრივ გამოცდილებაზე, ენობრივი კოდების გამიფერის მისეულ უნარზე. ამგვარი ორიენტაცია ძირითადად ლექსიკურ ერთეულებშია რეალიზებული.

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ტექსტში ძირითადად რეალიზებულია ე. წ. „აექტომატიზირებული“ ლექსიკა, ანუ ნახმარია სიტყვათა სემანტიკური სტრუქტურის ის კონკრეტული მნიშვნელობები, რომლებიც სიტყვის სალექსიკონო სტატიის პირველ პოზიციაშია წარმოდგენილი. ასეთი ერთეულები შეადგენს ჩვენს მიერ საანალიზოდ შერჩეული მასალის 90%-ს.

თხრობის ინტიმიზაციის მექანიზმი თავს იჩენს, აგრეთვე, „საბავშვო“ ლექსიკის იმიტაციის ხერხშიც. ტექსტში წარმოდგენილი „საბავშვო“ ლექსიკა რეალიზებულია: 1. ნორმატული საბავშვო ლექსიკური ერთეულებით და 2. არანორმატული, გამიზნულად კორუფტირებული (ბავშვურად დამახინჯებული) სიტყვაფორმებით.

პირველ გჯგუფში (ნორმატიული საბავშვო ლექსიკური ერთეულები) გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ა) ნორმატული საბავშვო ლექსიკა, რომელიც ლექსიკონში წამოდგენილია კვალიფიკაციით „საბავშვო“ და რომელსაც დაეძებნება სინონიმები „მოზრდილთა“ ლექსიკაში: bunny (rabbit), pussy (cat), tummy (stomach) და სხვ. ბ) საბავშვო ლექსიკის ისეთი ერთეულები, რომლებიც ნორმატულ ლექსიკონში არსებული სიტყვების კონტაქტულ (შეკვეცილ) ან კნინობით ვარიანტში არიან რეალიზებულნი: mummy, piggy, nursey და სხვ.

რაც შეეხება მეორე ჯგუფში შემავალ ლექსიკურ ერთეულებს (გამიზნულად კორუფტირებულ სიტყვებს), კიპლინგისეულ ნეოლოგიზმებს, რომლებიც საბავშვო მეტყველების იმიტაციის მიზნითაა შექმნილი. ისინი, ჩვენი წინარე მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლოა მივამსგავსოთ საკომუნიკაციო არხში (ტექსტში) ასოთამწყობთა უწყურადღებობის მიზეზით საკმაოდ ხშირად არსებული ობიექტური დაბრკოლებების რიგს.

თვით ტერმინი „დაბრკოლება საკომუნიკაციო არხში“ ინფორმაციის ზოგადი თეორიიდანაა ნასესხები. როგორც ითქვა, ობიექტური მიზეზებით პირობადებულ დაბრკოლებად ტექსტში შესაძლოა მივიჩნიოთ ასოცვლილი, მარცვალნაკლული და სხვადასხვა „დამახინჯებული“ სიტყვა-ფორმები. ამგვარი შეცდომები მეტად ტიპურია ბავშვის მეტყველებისათვის და თხრობის პროცესში მათი გამიზნული ხმარება სწორედ საბავშვო მეტყველების იმიტაციის ეფექტს ემსახურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდისათვის (კერძოდ – ბავშვისათვის), რომელიც თავად ამგვარად დამახინჯებულ სიტყვაფორმებს ხმარობს ყოველდღიურ მეტყველებაში, ისინი სავსებით ნორმატულია და სრულიადაც არ წარმოადგენს „დაბრკოლებას“ ვერბალური ინფორმაციის აღქმისას: პირიქით, კიდევ უფრო გასაგებსა და ნაცნობს ხდის გამონათქვამს და, ამდენად, მათი ჭარბი გამოყენება თხრობის ინტიმიზაციის ეფექტს ემსახურება.

სამაგიეროდ, მოზრდილთათვის ასეთი დამახინჯებული სიტყვაფორმები ერთგვარ შეფერხებას იწვევენ, ქმნიან დაბრკოლებას ვერბალური ინფორმაციის თავდაპირველი დეკოდირებისას (ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდან, რომელიც კიპლინგის ამ კრებულით თარგმანის დასტაჰებისას მივიღეთ: ყურადღებიან ასოთამწყობს რამდენიმე ბუჯითი მცდელობა ჰქონდა „გაესწორებინა“ ტექსტში არსებული სიტყვა „დაიმასხოვრე“, რომელიც ორიგინალის ანალოგით, გამიზნულად იყო დამახინჯებული).

ინფორმაციის ზოგადი თეორიიდან გამომდინარე ჩვენთვის ცნობილია, რომ დაბრკოლება საკომუნიკაციო არხში შესაძლოა

იყოს ნაწილობრივი ან სრული. ნაწილობრივი დაბრკოლების შემთხვევაში „შეცდომა“ ადვილი აღსაქმელია, მისი „გონების თვალით“ გასწორება შეიძლება; სრული დაბრკოლების შემთხვევაში კი – შეცდომა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი „გონების თვალით“ გასწორება საეხებით შეუძლებელი ხდება [4].

ცდომილების სერიოზულობა და მნიშვნელოვნება დამოკიდებულია შემუშავებულ კოდში შემაჯავლი ნიშნების რაოდენობაზე (კოდის სირთულეზე), მაგალითად, თუ ასო „B“ აღინიშნება ერთნიშნა კოდით, ვთქვათ, ციფრით – „1“, ხოლო ასო „C“ – ციფრით „2“, მაშინ სულ მცირედი შეცდომაც კი (1-ის ნაცვლად 2-ის ხმარება), სერიოზულ ცდომილებას გამოიწვევს; ხოლო თუ კი იგივე ასოებს ხუთნიშნა კოდებით (ვთქვათ, „B“-ს – „1000“-ით და „C“-ს 11111-ით) აღენიშნავენ, მაშინ ცდომილება ერთნიშნაში (მაგალითად, „B“-ს თუ შეცდომით „11000“-ით აღენიშნავენ) მხოლოდ მცირედ დაბრკოლებას შექმნის.

იგივე პრინციპი მოქმედებს ვერბალურ კოდებშიც: თუ სიტყვა მრავალასოიანია, მაშინ ერთი ან ორი ასოს არაზუსტი ხმარება ან გამორჩენა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ მცირეოდენ დაბრკოლებას გამოიწვევს, მაგრამ საეხებით ხელისშემშლელი არ აღმოჩნდება ინფორმაციის სწორი დეკოდირებისათვის. ამგვარი ცდომილების აღქმაში მკითხველს საკუთარი ენობრივი თუზარუსი უწყობს ხელს.

დაუბრუნდეთ კიბლინგს და დავადგინოთ, თუ რა ტიპის გამიზნულ „შეცდომებს“ უშვებს იგი ტექსტში.

კიბლინგის მიერ თხრობის ინტიმიზაციის ეფექტის მისაღწევად დაშვებული „შეცდომები“ ძირითადად შეიძლება დაიყოს: 1) გრამატიკულ და 2) ლექსიკურ „შეცდომებად“, რომლებიც უაღრესად ტიპურია საბავშვო მეტყველებისათვის.

1) გრამატიკული შეცდომების რიგს განეკუთვნება:

ა) გრამატიკული სუფიქსების არანორმატული ხმარება: dinners, teas, breakfasts, fishes, suppers და სხვ.

(მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსების შეცდომითი ხმარება);

ბ) გრამატიკული ტავტოლოგიები:
the most yellowest-brownest, greyest;
the most cleverest და სხვ.

(ზედსართავთა ხარისხების წარმოებისას სინთეზური და ანალიზური ფორმების ერთდროული ხმარება);

2) ლექსიკური შეცდომების რიგს (რომელიც უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი ტექსტში) განეკუთვნება:

ა) სიტყვათა რედუცირებული ფორმები:
'member (=remember), 'sclusively (=exclusively), 'scru-
ciating (=excrusiating) და სხვ.

ბ) სიტყვათწარმოების არანორმატული შემთხვევები (თამამი სიტყვათხზვა ენაში არსებული პროდუქტული სუფიქსებით), ბავშვური ნეოლოგიზმები jompsome, scalesome, failsome, slidy, spottled და სხვ.

გ) ლექსიკური ტავტოლოგიები:
really truly, girl-daughter და სხვ.

დ) სიტყვა-კიბრიდები, რომლებიც ნეოლოგიზმთა კიდევ ერთი სახეობაა — ორი სიტყვის ნაწილთა შეუჯვარება (ორი ერთეულის სიმულტანური რეალიზაცია) ერთ სიტყვაფორმაში:

curtiosity (=courtious + curiosity);
Your Lordliness (=lordship + highness) და სხვ.

ე) დეკომპოზირებული (დახლეჩილი) სიტყვები:
a stute (=astute), ef-fect (=effect) და სხვ.


(ამ მაგალითებში და მსგავს სიტყვებში პირველი ბგერა არტიკლად აღიქმება, რომლის გამორჩენა მეტყველების ნაკადში ძალზე ტიპურია ბავშვის მეტყველებისათვის).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ამგვარი გამიზნულად დაშვებული „შეცდომები“ შეცნობადია და, ამდენად, არ უქმნის საფრთხეს მოზრდილ მკითხველს არასწორად გაშიფროს გამონათქვამი; ყმაწვილ მკითხველს კი — პირიქით, ხელსაც უწყობს ვერბალური ინფორმაციის დეკოდირებაში, რადგან იგი მათ ნორმატულ ერთეულებად აღიქვამს.

რაკი ამგვარი „ცდომილი“ სიტყვაფორმები (კოდები) ბავშვისათვის სრულიად ნორმატულია, ისინი მისთვის არავითარი ესთეტიკური ინფორმაციის მატარებელი არაა და მხოლოდ იდეურ-შინაარსობრივ ინფორმაციას შეიცავს; ხოლო მოზრდილთათვის ისინი ორმაგად ინფორმატულია – იდეურ-შინაარსობრივად და ესთეტიკურად. მხოლოდ მოზრდილ მკითხველს შეუძლია აღიქვას და სათანადოდ შეაფასოს ამ „შეცდომებში“ ჩადებული იუმორი; მიხვდეს, რომ ისინი გამიზნულად, საბავშვო მეტყველების იმიტაციის და, ამდენად, თხრობის ინტიმიზაციის მიზნითაა გამოყენებული.

გამონათქვამის ორმაგი ინფორმატულობა, როგორც უკვე ითქვა, მხატვრული ლიტერატურის იმანენტური თვისებაა. ჩვეულებრივ ეს ორი განსხვავებული ტიპის ინფორმაცია ერთიმეორეს მიყოლებით, ორ პარალელურ შრეზე ძეგს. სემანტიკური (იდეურ-შინაარსობრივი) ინფორმაცია ზედაპირულ შრეზეა; მას განსაზღვრული ფარგლები აქვს და მისი სწორად დეკოდირება აუცილებელ პირველ საფეხურს წარმოადგენს გამონათქვამის სრულყოფილად აღქმაში. რაც შეეხება ესთეტიკურ ინფორმაციას (რომელიც, რა თქმა უნდა, სემანტიკური ინფორმაციიდან გამომდინარეობს), მისი აღქმა მუდამ მეორადია და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რჩეულთა ხედრია“. ხშირად ესთეტიკურ ინფორმაციას არც კი გააჩნია მკაცრი საზღვრები, მისი აღქმა მკითხველის ესთეტიკურ თეზაურუსზე დამოკიდებული; იგი სიღრმისეულ შრეზეა განლაგებული.

ზემოაღნიშნული სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:




უნიაიდან „მხატვრული გამონათქვამი“ „ნეიტრალური გამონათქვამისაგან“ სწორედ იმით განსხვავდება, რომ მას სემანტიკურთან ერთად ესთეტიკური ღირებულებაც აქვს, მისი სრულყოფილი დეკოდირება ინფორმაციის ორივე შრის წვდომას

გულისხმობს. პირველი შრის (სემანტიკური, ანუ იდეურ-შინაარსობრივი ინფორმაციის) არაზუსტი დეკოდირება მექანიკურად გამოირიცხავს მეორე შრის (ესთეტიკური ინფორმაციის) წვდომას. ასეთ შემთხვევაში კომუნიკაცია სავსებით წარუმატებელი იქნება. მხოლოდ პირველი შრის დაძლევა აძლევს საშუალებას მკითხველს ჩასწვდეს მეორესაც. თუკი მეორე შრის წვდომა არ მოხერხდა (ესთეტიკური თეზაურუსის უკმარისობის გამო), მაშინ გამონათქვამში ჩადებული ინფორმაცია ნაწილობრივ იქნება დეკოდირებული და კომუნიკაცია თუმცა შედგება, სრულყოფილი არ იქნება. ეს დებულება საერთოა ნებისმიერი მხატვრული გამონათქვამის დეკოდირებისათვის.

საქმე ოდნავ სხვაგვარადაა კიპლინგის ზღაპრების შემთხვევაში. აქ ერთი და იგივე მხატვრული გამონათქვამის დეკოდირებისას ბევრი და მოზრდილი ორ, განსხვავებული სახის სემანტიკურ ინფორმაციას გააშიფრავს.

გამონათქვამის პირველ (ზედაპირულ) შრეზე არსებული ორი სემანტიკური ინფორმაცია ერთმანეთის მიმართ კონტრაპუნქტულ დამოკიდებულებაშია და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება. ამათგან მხოლოდ მეორე (მოზრდილთა მიერ ამოკითხული სემანტიკური ინფორმაცია) შეიძლება დაედოს საფუძვლად შემდეგ ეტაპზე, ესთეტიკური ინფორმაციის დეკოდირებაზე გადასვლას.

სქემატურად ზემოაღნიშნული ასე შეიძლება გამოისახოს:



ბ) ესთეტიკური ინფორმაცია

ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო სემანტიკური ინფორმაციის პოტენციური არსებობა ერთსა და იმავე გამონათქვამში პირობადებულია ავტორის პრაგმატული ორიენტაციით ორი განსხვავებული ასაკისა და მსოფლმხედველობის მკითხველზე – მცირეწლოვანსა და მოზრდილზე. ის, რაც მცირეწლოვანისათვის ვერ-

ბალურად ნორმატიულია, მოზრდილი ადრესატისათვის — არანორმატიულია, „შეცდომითია“; სხვაგვარად რომ ითქვას, ის, რაც მცირეწლოვანისათვის სწორია და სიმართლეა, მოზრდილისათვის არასწორია და ტყუილია. მოზრდილი მკითხველის მიერ დაფიქსირებული „შეცდომა“ აპირობებს მისი ესთეტიკური ინფორმატიულობის წვედომას. კიდევ უფრო დავაზუსტოთ, უფროსის მიერ გამონათქვამში აღმოჩენილი „ნორმიდან გადახვევა“ იწვევს მასში კონკრეტულ ესთეტიკურ განცდას (იუმორისტულ განწყობას); ხოლო მცირეწლოვანს ეს განცდა არ ეუფლება, რადგანაც გამონათქვამში ვერანაირ „ნორმიდან გადახვევას“ ვერ ხედავს (მისთვის, უთუოდ, „ნორმიდან გადახვევა“ ის იქნებოდა, რაც უფროსისათვის „ნორმა“). მაგალითად, წინადადებაში „იცოდე, ჩემო საყვარელო, ეს კარგად უნდა დაიმასხოვრო“, მოზრდილი სიტყვაში „დაიმასხოვრო“ ბავშვურ შეცდომას შეიცნობს, რაც ღიმილს მოკვირის მას, ხოლო მცირეწლოვანისათვის იგივე სიტყვაფორმა „სწორია“ და სრულიადაც არ აღუძრავს იუმორისტულ განწყობას.

